# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტ-თის გაფანა ყველა უკეთესობაზე უსაძაგლესია.


ორშაბათი, 16 მაისი. 2022 წ. №61 (9399) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

იხ. 3 გვ.


## ლიბერასტების ბრწყინვალება და სიღატაკე

**ყველაზე მეტი ფული ომში იშოვება**

ომარ მარგველაშვილი:

## „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაეჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“!..


7


## დაიმახსოვრეთ ეს დღე – 14 მაისი, 2022 წ.


5


# თანამედროვე ქართული ჟურნალისტიკის გუთნისდედა

## გარდაიცვალა თვალსაჩინო ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე არმაზ სანებლიძე



ყველაზე საშინელი დროისეული მოულოდნელობა ძვირფასი ადამიანის უეცარი დაკარგვაა. ასე მოხდა ამჯერადაც. 2022 წლის 14 მაისი, როგორც იტყვიან, ძალიან ცუდად გაგვითენა ჩვენმა უძვირფასესმა მეგობარმა, ჭეშმარიტად უცხოდ კალამღონიერმა ჟურნალისტმა, საზოგადოებრივი საქმიანობით გამორჩეულმა, ქართული სიტყვის უზომოდ ტრფიალმა, ფოლადისებრი საიმედოობის ადამიანმა, მუდამ ახალგაზრდულად შემართულმა, ცხოვრების შუაგულში მუდამ კალოს ხარივით მოტრიალე არმაზ სანებლიძემ, რომელმაც მართლაც სანიმუშოდ იცხოვრა და კაცურად, პატიოსნად გაამართლა თავისი ამქვეყნად 86-წლიანი არსებობა. უბრალოდ, მარტო სიად თუ ჩამოვწერთ არმაზ სანებლიძის თანამდებობებს, ნათელი გახდება მის მიერ გამოვლილი ცხოვრების არცთუ იოლი აღმართ-დაღმართები და, რაც მთავარია, იგი არასოდეს არ ყოფილა გულისგარეთ საქმის შემსრულებელი. თითქოს თვით უჩინარ წვრილმანშიც კი შემოქმედი იყო, მუდამ იქ იდგა, სადაც ქარიშხალი ბობოქრობდა.

არმაზის გამოვლილ თანამდებობათა მშრალი ჩამონათვალი კი ასე გამოიყურება: ჯერ კიდევ ჭაბუკი გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორია, შემდეგ — „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორი; პარტიის ცენტრალური კომიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების (პრესისა და ტელევიზიის სექტორის) ხელმძღვანელი; საქტელერადიოკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, შემდეგ — თავმჯდომარე; გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე, შემდეგ — მთავარი რედაქტორი, ავღანეთიდან და ჩერნობილიდან პირველი ჟურნალისტური რეპორტაჟების ავტორი, მართლაც ყველასგან გამორჩეული რეპორტიორი, პუბლიცისტი და მწერალი; 12 სქელტანიანი წიგნის ავტორი.

ცხადია, ვერავითარი თანამდებობები ვერ გახდიან ადამიანს იმ ადამიანად, ვისაც მოყვასის, თავისი ქვეყნის და ხალხის უანგარო, გაუნელებელი სიყვარული ამოქმედებს. ჩვენს უძვირფასეს მეგობარს არმაზ სანებლიძეს უწინარესად სწორედ ეს სიყვარული გამოარჩევდა, რომელი სიყვარულიც არცთუ ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე უგიზგიზებდა მუდამ ჭაბუკურად ანთებულ გულში.

მშვიდობით, ძვირფასო არმაზ, რა ვუყოთ, სიკვდილის მოუხდელობა არ ეგების. ბოლო დღესაც შენებურად, ვაჟკაცურად შეხვდი, მაგრამ... სიკვდილს შენს ნაყოფიერ სიცოცხლესთან რა ხელი აქვს! შენ შენი უთუოდ გამორჩეულად თვალსაჩინო ნაღვაწით მუდამ სიცოცხლის გვერდით იდგები.

დიდი მწუხარებითა და გულისტკივილით —

**მეგობრები**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკიდან“**

# ქართველთა და აფხაზთა საერთო განძი

**აფხაზურენოვანი „ვეფხისტყაოსნის“ წარდგინება**

**თბილისის საკრებულოში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემული აფხაზურენოვანი „ვეფხისტყაოსნის“ წარდგენა გაიმართა.**

ღონისძიებას კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი ზაზა აბაშიძე უძღვებოდა, რომელმაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ მიხეილ ჩხენკელს მადლობა გადაუხადა აფხაზურენოვანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის მხარდაჭერისთვის. ზაზა აბაშიძის თქმით, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების განმტკიცების საქმეში ამ უმნიშვნელოვანესი წიგნის დაბეჭდვა სწორედ მიხეილ ჩხენკელის დამსახურებაა.

**განათლების სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, 1941 წელს აფხაზურ ენაზე დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ფოტოტიპური ვერსია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და აფხაზეთის კულტურისა და განათლების სამინისტროს მიმართვის საფუძველზე გამოსცა. აღნიშნული გამოცემის ორიგინალი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის იშვიათი ბეჭდური გამოცემების ფონდში ინახება.**

რუსთაველის უკვდავი ქმნილების თარგმანი ცნობილ აფხაზ მწერალს დიმიტრი გულიას ეკუთვნის, ხოლო წიგნის რედაქტორი კი გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, აკადემიკოსი სიმონ ჯანაშიაა. წიგნი 2021 წელს, 1941 წელს გამოცემული აფხაზურენოვანი „ვეფხისტყაოსნის“ 80 წლის თავზე დაიბეჭდა.

აფხაზურენოვანი „ვეფხისტყაოსნის“ პრეზენტაციას ესწრებოდნენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**, საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე **კახა ლაბუჩიძე**, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი **ეკა ხოფერია,** ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **ჯემალ გამახარია**, საქართველოს პარლამენტის წევრები — **ბექა ოდიშარია** და **ირაკლი ქადაგიშვილი**, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ნინო წერეთელი**, მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უფროსი **ზაზა მარუაშვილი** და სხვა მოწვეული სტუმრები.

# საქართველო მიწვეულია ნატოს მადრიდის სამიტზე!

**გერმანიის** **დედაქალაქ ბერლინში ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები არაფორმალურ შეხვედრაზე შეიკრიბნენ.**

შეხვედრის დაწყებამდე ღონისძიების მასპინძელმა ნატოს გენერალური მდივნის მოადგილემ **მირჩა ჯოანამ** ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

„პირველი არხის“ ჟურნალისტის მიერ დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ჯოანამ განაცხადა, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა მიწვეულია ნატოს სამიტზე, რომელიც ივნისში მადრიდში გაიმართება. **„როგორც აღვნიშნე, ნატო ყოველთვის პატივს სცემს ევროპასა და მთელ მსოფლიოში ერების უფლებას აირჩიონ საკუთარი გზა. ეს სხვათა ვეტოს არ ექვემდებარება. ეს არის მხოლოდ იმ ქვეყნისა და ორგანიზაციის განხილვის საკითხი, რომელშიც სურთ გაწევრიანება. საქართველო ჩვენთვის გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორია. ჩვენ მათთან ვმუშაობთ წლების განმავლობაში. ასევე ვიცი, რომ ნატოს სამიტზე საქართველოს ხელმძღვანელობა იქნება მიწვეული“.**

## მაია ელოშვილი:

# ციხე არ მოსწონს დედის ნებიერას და აამუშავეს „სიკვდილის მანქანა“, ყოველდღე კლავენ და ვერ მოკლეს

1 ოქტომბრიდან დღემდე გიული „თავმდგომი“ თავის მოზვინულ, კრიმინალ შვილს, ოლიმპიური სიმშვიდით, ყვავივით დასჩხავის:

**„თუ საზღვარგარეთ არ გადაიყვანეს მოკვდება, აქ ვერ უმკურნალებენ, სუსტად არის, გადასხმები სჭირდება და აქ მაგის გამოცდილება არ არის, გუშინ სამჯერ წაიქცა, გული წაუვიდა, ვერ დადის, ციხის მავთულხლართები და გისოსები აღიზიანებს, საათებზეა საქმე, ფერი არა აქვს, აუცილებლად მოკვდება“...**

მოკლედ, ციხე არ მოსწონს დედას ნებიერას და აამუშავეს „სიკვდილის მანქანა“. იგონებენ ათასგვარ დიაგნოზებს. ყოველდღე კლავენ და ვერ მოკლეს.

ქალბატონო გიული, ისე უნიჭოდ და იმდენჯერ იმეორებთ დაზეპირებულ ფრაზებს, ცოტა ემოციაც გაურიეთ მეტი დამაჯერებლობისთვის, ხელოვნური ცრემლი მაინც ჩაიწვეთეთ, თორემ ჩაგეშალათ შვილის „სასიკვდილო რიტუალი“, რომელსაც ყოველდღე, რამდენჯერმე ატარებთ.

„შეძახილმა ხე გაახმოო“!..

დედის სიტყვას დიდი ძალა აქვს და თქვენ მაინც შეიბრალეთ თქვენი გამოზრდილი სადისტი.

**ცხონებულ ირინა ენუქიძეს დაემუქრა დედის „უჭმელი“: სახლში დაჯექი და ჩუმად იტირე შენი შვილიო. ირინა არ შეეპუა და შეიწირეს...**

**იური ვაზაგაშვილი შვილის საფლავზე ააფეთქეს...**

**ბუტა რობაქიძის დედას წარმოუდგენელ შეურაცხყოფას აყენებდნენ. „შვილის სიკვდილით მოვაჭრეს“ უწოდებდნენ, აგინებდნენ ერთადერთი შვილის დამკარგავ დედას, თქვენი ტვინდახშული მომხრეები.**




თქვენ, დედას, არცერთი თანაგრძნობის სიტყვა არ გითქვამთ შვილმოკლული დედებისთვის. არცერთი ნაწამები პატიმრის დედა არ გაგხსენებიათ. არცერთი მოკლული ახალგაზრდის გამო არ გიტირიათ. პირიქით, ახლაც იმას ამბობთ: ჩემს შვილს შეცდომა არ დაუშვია როგორც პრეზიდენტს, უდანაშაულოაო...

2006 წელს ჩემი მეუღლე (ორი მოწვევის პარლამენტის წევრი, ვახტანგ ტალახაძე) დაიჭირა თქვენმა სადისტმა: უცნობ ადამიანებთან ერთად, კრებაზე იჯექი და გადატრიალებას გეგმავდიო. 4 წელი და 6 თვე მოახდევინა მართალ ადამიანს და ამდენი ხანი მატარა ციხის კარზე.

**ვუყურებდი უდანაშაულო ბიჭებს და 3 შვილის დედას — მაია თოფურიას. დაჭერიდან 1 კვირაში გული გაუსკდა მაიას დედას. მე კი, 1 თვეში მამა გარდამეცვალა. არცერთს ღირსება არ დაგვიკარგავს, არც პატიმარს და არც მათი ოჯახის წევრებს. ბოლომდე გავუძელით... თუმცა, დღეს, ციხეში მძიმე სენით დაავადებული თემურ ჟორჟოლიანი და გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე რევაზ ბულია აღარ გვყავს. არცერთ მათგანს ციხეში არანაირი მკურნალობა არ ჩატარებია.**

ჰოდა, თქვენც დაჯექით სახლში, ქალბატონო გიული და ჩუმად ილოცეთ თქვენი გაზრდილის მიერ მოკლული ადამიანების, ამოწყვეტილი ოჯახების, ნაწამები პატიმრებისა და მათი გამწარებული დედებისთვის. შეწყვიტეთ ოჯახური მასკარადი. ნუ შეგვაწუხეთ თქვენი თაღლითი შვილის კვების რაციონით და ყოველდღიური, მოგონილი ანამნეზით.

**გარწმუნებთ, სანამ ასე უტიფრად იძცევით, ჩვენგან თანაგრძნობას და შენდობას ვერ ელირსებით!**

# გიორგი გახარია ბრიუსელში გაემგზავრა

**პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გახარია და პარტიის საპარლამენტო გუნდი: გიორგი ხოჯევანიშვილი, ანა ბუჩუკური, მიხეილ დაუშვილი და ალექსანდრე მოწერელია ბრიუსელში გაემგზავრნენ.**

პარტიის პრესსამსახურის ცნობით, ბრიუსელში გიორგი გახარია და პარტიის წევრები შეხვედრებს გამართავენ ევროპარლამენტის, ევროკომისიისა და ევროპის საბჭოს წარმომადგენლებთან.

გიორგი გახარია და პარტია „საქართველოსთვის“ წევრები ევროკავშირის წარმომადგენლებს გააცნობენ პარტიის მიერ უკვე მიღწეულ შედეგებს, ასევე გეგმებს პარტიის სამომავლო საქმიანობის შესახებ.

# რატომ კარგავენ ზუგდიდელები 1 მილიონამდე ლარს?!

**„ძართული ოცნების“ სამეგრელო-ზემო სვანეთის ორგანიზაცია განცხადებას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ზუგდიდის ოპოზიციური საკრებულოს დაუდევრობით და საქმის უგულებელყოფით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი კარგავს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების განხორციელების შესაძლებლობას.**

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, მათ ვერ მოახერხეს საკრებულოზე საკითხის გატანა და ხალხს დაუკარგეს 1 მილიონამდე ლარი, ხოლო უპასუხისმგებლოა ოპოზიციის განცხადება, რომელიც ფაქტის მერიისთვის გადაბრალებას გულისხმობს.

**„გვსურს, გამოვეხმაუროთ, ზუგდიდის ოპოზიციური საკრებულოს მიერ უპასუხისმგებლობის მორიგ გამოხატულებას. საკრებულოში თანამდებობების გადანაწილების შემდეგ მის გამართულად მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაეკისრა გახარიას პარტიის და „ნაციონალური მოძრაობის“ კოალიციას. სწორედ მათი დაუდევრობით და საქმის უგულებელყოფით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი კარგავს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის მიერ შერჩეული პროექტების განხორციელების შესაძლებლობას. საუბარია 948 ათას ლარზე, რომელიც ზუგდიდის მუნიციპალიტეტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოუყო.**

**როცა ვისმენდით, რომ თითქოს გახარია — ნაცმოძრაობის კოალიცია ზუგდიდის საკრებულოში ხალხის საკეთილდღეოდ მოდიოდა, ფარსი აღმოჩნდა. ამაზე ჩვენ თავიდანვე ვაცხადებდით, თუმცა ახლა ეს ფაქტებით დასტურდება. მაშინ, როცა მერიამ მიმართა საკრებულოს ვადების დაცვით, მიაწოდა სოფლის კრებებზე ხალხის მიერ დასმული პრობლემები და სთხოვა პროგრამის მხარდაჭერა - მათ ვერ მოახერხეს ელემენტარულად საკითხის გატანა და ხალხს დაუკარგეს 1 მილიონამდე ლარი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ჩვენს სოფლებში სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს. მათ გადაინაწილეს თანამდებობები, აიღეს პასუხისმგებლობა და ვხედავთ შედეგს. ეს არის უპასუხისმგებლობა საკუთარი მოსახლეობის წინაშე და ამტკიცებს მათ დამოკიდებულებას საქმისადმი.**

**უპასუხისმგებლოა მათი განცხადებაც, რომელიც ფაქტის მერიისთვის გადაბრალებას გულისხმობს. რეალურად გახარია მერიას იმაზე საყვედურობს რატომ არ მოხდა ვადების შეხსენება. ეს მაშინ, როდესაც ზუგდიდის მერიამ მასზე დაკისრებული ვალდებულებები შეასრულა, პროექტით გათვალისწინებული სოფლის კრებები ჩაატარა, კრებებზე მოქალაქეების მიერ წამოჭრილი საკითხები დაამუშავა და დასამტკიცებლად 14 აპრილს ზუგდიდის საკრებულოს გაუგზავნა. თუმცა ამ უკანასკნელს საკრებულოს სხდომაზე მისი განხილვა ვადების შესაბამისად არ მოუხდენია, არადა კანონით განსაზღვრული ვადა 1 მაისს ეწურებოდა. ვადების შეხსენება ზუგდიდის საკრებულოს თავმჯდომარეს არ უნდა სჭირდებოდეს, მაშინ როცა ის მერის პირველი მოადგილის პოზიციაზე მუშაობის დროს თავად კურირებდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამას.**

**ზუგდიდის ოპოზიციურ საკრებულოს არ ჰყოფნის გამბედაობა აღიაროს შეცდომა და აიღოს პასუხისმგებლობა. კანონის არცოდნა და დილეტანტობა არ ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანოს ხელმძღვანელობას და მის თანამდებობის პირებს პასუხისმგებლობისგან. მათი ვალდებულებაა, ხელი შეუწყონ მუნიციპალური თუ სახელმწიფო სერვისებისა და პროექტების განხორციელებას — ჩვენ კი მივიღეთ, რომ საკრებულო ხელშეწყობის ნაცვლად ხელს უშლის მოქალაქეებს მიიღონ არსებული სერვისები და პროექტები.**

**ჩვენ ვხედავთ ფაქტს, რომ რეალურად სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე პრობლემები შეიქმნა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი მასშტაბით მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში (ზუგდიდი, წალენჯიხა), სადაც საკრებულოს უმრავლესობას გახარიას და ნაციონალების კოალიცია ფლობს“,** — აღნიშნულია გავრცელებულ განცხადებაში.




# ყველაზე მეტი ფული ომში იშოვება

# ---

# ლიბერასტების ბრწყინვალება და სილატაკე

**უკრაინისთვის დამატებით 40 მილიარდი დოლარის გამოყოფა სენატორმა რედ პოლმა დაბლოკა!**

**ლიბერალიზმი (ფრანგ. liberalisme) — იდეოლოგია, ფილოსოფიური შეხედულება და პოლიტიკური ტრადიცია, რომლის მიხედვით თავისუფლება ძირითადი პოლიტიკური ღირებულებაა. იდეოლოგია დასავლეთის განმანათლებლობის ეპოქაში (ფრანგ. sitcle des lumieres, გერმ. Aufkarung ) იღებს დასაბამს, თუმცა ტერმინი ამჟამად გაცილებით მრავალფეროვან პოლიტიკურ ნააზრევს მოიცავს.**

თანამედროვე ლიბერალიზმის ქვაკუთხედი ინდივიდუალური უფლებებია. ის მიელტვის საზოგადოებას, რომლისთვისაც დამახასიათებელია თითოეული ადამიანის აზროვნების თავისუფლება, ძალაუფლების შეზღუდვა, განსაკუთრებით მთავრობის და რელიგიის, კანონის უზენაესობა, უფასო საზოგადოებრივი განათლება, იდეათა თავისუფალი გაცვლა, სადაც ყველა მოქალაქეს ერთნაირი უფლებები აქვს კანონით და თანასწორი შესაძლებლობები წარმატებისთვის.

ერთი შეხედვით ნამდვილად არ არის ურიგო, მაგრამ მთელს მსოფლიოში და ცხადია საქართველოშიც, ლიბერალური ღირებულებებისა და მასზე მიბმული პროდასავლური მსოფლმხედველობის საკმაოდ აგრესიული სექტა ჩამოყალიბდა.

სექტა, რომელიც ზუსტად ისევე, როგორც ყველა სხვა სექტა, გარკვეული მერკანტილური მიზნების გამო საფუძვლიანად ამახინჯებს პროდასავლური მსოფლმხედველობის ნამდვილ არსს. მისი წევრები აბსოლუტურად სხვა მიმართულებას ქადაგებენ, რაც ძალიან აზიანებს დემოკრატიასა და პროდასავლურ აზროვნებას. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სექტის წევრები ვერ შეძლებენ განმარტონ, თუ რას ნიშნავს „პროდასავლური აზროვნება“ და „ჭეშმარიტი დემოკრატია“, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მათ ეს ნამდვილად არ იციან. რისი დამადასტურებელიც არის ის ფაქტი, რომ მათთვის დათმობილი უამრავი საეთერო დროის მიუხედავად, ჯერ არ მოგვისმენია საქართველოს მომავლისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამ ორი ცნების განმარტება.

ნამდვილად არ ვარ რაიმე შეთქმულების თეორიების, მასონთა ლოჟის და სიონელ ბრძენთა მიერ მსოფლიოს მართვის იდეების, მაგრამ ბოლო წლებში განვითარებული მოვლენებისა და კონკრეტულად საქართველოში მიმდინარე პროცესების მცირე ანალიზმა ლიბერასტული ერთობისა მათი საკმაოდ დიდი შესაძლებლობების სინამდვილე დამანახა.

ამ თემაზე დაფიქრების უმარტივესი და უმთავრესი მიზეზი ჩვენი მეგობარი უკრაინის მხრიდან საქართველოში გასამართლებული კრიმინალებისთვის არა მხოლოდ თავშესაფრის მიცემა, არამედ საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე დანიშვნა და დღეს, მსოფლიო მონსტრთან გაგანია ომის დროს უკრაინელი მაღალჩინოსნების მთავარი მიზანი საქართველოსთვის, იმ ქვეყნისთვის, რომელიც ჰუმანიტარული დახმარების მხრივ პირველ ადგილზეა და პოლიტიკური თვალსაზრისით აბსოლუტურად ყველა მხარდამჭერ აქტს არის მიერთებული, ყოვლად უაზრო, დაუსაბუთებელი პრეტენზიების წაყენება, მეორე ფრონტის გახსნის მოთხოვნა და ელჩის გაწვევა გახდა.

ეს კიდევ შეიძლებოდა „გაგვეტარებინა“, რადგანაც ომში მყოფი ხალხისთვის რთულია საღი გონებით შეფასებების გაკეთება, მაგრამ ის ორკესტრირებული განცხადებები, რომლებიც არესტოვიჩის, გონჩარენკოს, დასავლური ინსტიტუტების ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან ხმიანდება, ერთი ავტორის დაწერილს ჰგავს და ერთი-ერთში ემთხვევა რევანშის ჟინით შეპყრობილი ნაცმოძრაობის განცხადებებს და მოწოდებებს, დაფიქრების მიზეზს იძლევა.

აქ უკვე საგულისხმოა, თუ ვინ არის ის „ერთი კაცი“, ვინც არა მხოლოდ ამ განცხადებებს წერს, არამედ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში მაღალ თანამდებობებზე ისეთი მორალური პრინციპების მქონე ადამიანების დანიშვნას ლობირებს, რომ აშშ-ს მოსახლეობასა და მედიაში საკმაოდ დიდ აღშფოთებას იწვევს.

**ე.წ. „ფერადმა რევოლუციებმა“, რომლებიც პანდემიურად მოედო პოსტსოციალისტური ბანაკის ძვეყნებს, მხოლოდ საძართველოში და უკრაინაში იპოვა განვითარებისა და დამკვიდრების არეალი, რადგანაც სხვაგან სულ რამდენიმე თვეში დასრულა არსებობა. საძართველოში ლიბერასტული სიოს „შემბერებლად“ არასამთავრობო ორგანიზაცია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ინკუბატორში გამოჩეკილი, სხვადასხვა ჯგუფის ლიბერასტ-დემოკრატები და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა მოგვევლინენ.**

მიუხედავად ამდენწლიანი ბოგინისა, დღესაც მათი მთავარი საფიქრალია, თუ როგორ გაავრცელონ ქართველ საზოგადოებაში ლიბერასტული იდეოლოგია, როგორ შეფუთონ ის დემოკრატიის მანტიაში და როგორ მისცენ ამ ყველაფერს ისეთი „სასაქონლო სახე“, რომელსაც დაეწაფება ყველა — მოხუციც და ახალგაზრდაც.

ამ საფიქრალის ასახსნელად გამოვიყენებ ოტო ნოიერის ე. წ. გემის ხატს. ამ თეორიის მიხედვით, ისინი ჰგვანან მეზღვაურებს, რომლებიც იძულებულნი არიან, ზღვაში მოახერხონ თავიანთი გემის რეკონსტრუქცია, მაგრამ ამას ვერასოდეს შეძლებენ, რადგან, შესაძლებელია, გემის ნებისმიერი ნაწილის შეცვლა, მაგრამ ძირს ვერასოდეს ვერ გამოცვლი.

სწორედ იმის გამო, რომ „ძირის შეცვლა“ შეუძლებელია, ამ „ჩვენმა“ ლიბერასტებმა ჯერ „ჩარეცხილების ინსტიტუტი“ შემოიღეს და შემდეგ შეეცადნენ, საქართველო ე.წ. „ერ-კორპორაციად“ (Nation – corporation) ჩამოეყალიბებინათ.

„ერი კორპორაცია“, რომელიც 90-იანი წლების ბოლოდან საკმაოდ აქტიურად მკვიდრდებოდა, თავის თავში საზოგადოების ერთი ავტორიტარისთვის გადაცემას გულისხმობს. ავტორიტარი დემოკრატიის და სხვა ფასეულობების უგულებელყოფით (მაგ: პოლიტიკური თავისუფლება) დროის მცირე მონაკვეთში ამკვიდრებს ლიბერალიზმს (მაგ: ეკონომიკურ თავისუფლებას). შედეგად კი იმპლაციტურად ვღებულობთ „ერ-კორპორაციის“ მოდელს.

სააკაშვილი იყო არა პრეზიდენტი, არამედ დირექტორი. მოქალაქეები იყვნენ არა ამომრჩევლები, არამედ კორპორაციის თანამშრომლები და უმუშევრები, რომელთა მხრიდანაც ნებისმიერი პროტესტი ჩახშული იქნებოდა პოლიციის, ანუ კორპორაციის მესაკუთრეთა მცირე ჯგუფის დაცვის სამსახურის მიერ.

ლიბერასტების უმთავრესი სტრატეგია ეკლესიისა და ეროვნული ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლაა, რასაც ჩვენ მათ მიერ კონტროლირებადი ტელევიზიების, გარკვეული პოლიტიკანებისა, თუ ე.წ. ფერადი ახალგაზრდების მხრიდან გამუდმებით ვისმენთ და ვხედავთ.

მიუხედავად მათი დიდი შესაძლებლობებისა, ვერ ქმნიან ისეთი მტრის ხატს, რომელიც შეძლებს ქართველებს ელემენტარული ლოგიკა დაავიწყოს და დამღუპველი ნაბიჯები გადაადგმევინოს.

**მაგალითისთვის გიგა ბოკერიას ერთ-ერთ ნაცტელევიზიაში ნათქვამ ფრაზაზე ფბ-ში დაწერილ ირონიულ გამოხმაურებას მოვიყვან:**

**— პუტინის წარმომადგენელს რა ჰქვია? დასვა შეკითხვა „ფორმულას“ პირდაპირ ეთერში გიგა ბოკერიამ.**

**— შიიო!**

**ერთხმად გასცეს პასუხი სტუდიაში მყოფებმა. მხოლოდ ერთი დაიბნა და შეყოვნდა, მაგრამ გიგა უცეხ მივარდა — შიიო, შიიო! ახლა შიო, სხვა დროს სხვა უნდა თქვა! და უჯიკა.**

**„მეუფე რუსუდანს“ ებარებოდეთ , ბატონო გიგა.**

დასცინის, ხალხი აშკარად დასცინის ლიბერასტების მანიაკურ სიჯიუტეს, მაგრამ ისინი ჯერჯერობით მაგრად დგანან და ნასროლი ბრალდებების ფილტრაციასაც არ ახდენენ.

მათი ლოგიკით, რომის პაპი 2012 წლის 6 დეკემბერს, ევროკავშირის მიმართ გაკეთებული თავისი მოწოდების გამო რუსეთუმედ უნდა შეირაცხოს:

**ევროკავშირი უნდა დაუბრუნდეს თავისი დამაარსებელი „მამების“ სიდიადისა და ერთიანობის იდეალებს და უარი თქვას იდეოლოგიურ კოლონიზაციაზე, რამაც შეიძლება გახლიჩოს ევროპული ქვეყნები და ევროკავშირის კრახი გამოიწვიოს. ევროკავშირმა პატივი უნდა სცეს მასში შემავალ თითოეულ ქვეყანას და მის სტრუქტურას, პატივი სცეს მათ მრავალფეროვნებას და უარი თქვას მათ უნიფიცირებაზე —** განაცხადა რომის პაპმა.

ეროვნული გრძნობებისა და ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა ლიბერასტების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას რომ წარმოადგენს, არახალია და ეს ძალიან კარგად ვიცით.

ამ ორიოდ დღის წინ საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას წავაწყდი ბბს-ს რუსული გამოცემის საიტზე, რომელშიც „აზოვის“ ბატალიონზე იყო საუბარი.

იმ ბატალიონზე, რომელიც ყოველგვარი დახმარების გარეშე ამდენი დღეა გმირულად იცავს „აზოვსტალს“ და რუსი ოკუპანტები მათ განადგურებას ვერაფრით ახერხებენ.

დიახ, ყოველგვარი დახმარების გარეშე და ამის შესახებ თავად აზოველების მიერ გავრცელებული მიმართვებიდან გახდა ცნობილი.

ისინი თავიანთ მიმართვებში მკაცრად აკრიტიკებდნენ ზელენსკის და არესტოვიჩს, ხოლო ამ უკანასკნელის მისამართით საკმაოდ ხისტ დაპირებებს იძლეოდნენ.

გთავაზობთ ამონარიდებს ზემოთ ნახსენები ინფორმაციიდან, რომელიც 2015 წლის 12 ივნისს გავრცელდა

**როგორც აშშ-ს კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის (ქვედა პალატის) დემოკრატი კონგრესმენი (ჯო ბაიდენის პარტია) ჯონ კონერსი იუწყება, კონგრესმა მხარი დაუჭირა მის შესწორებას სამხედრო ასიგნებების კანონთან მიმართებაში, რომლითაც ამერიკელ სამხედროებს ეკრძალებათ უკრაინის ეროვნული გვარდიის მოსალისეთა ბატალიონ „აზოვის“ წევრების გაწვრთნა. ასევე პალატამ დაამტკიცა კიდევ ერთი შესწორება, რომლითაც აშშ ხელისუფლებას აეკრძალა უკრაინისა და ერაყისთვის პორტატული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის მიწოდება.**

კონერსი თავის მოსაზრებებში ეყრდნობოდა ლონდონის „ტელეგრაფში“ 2014 წლის 11 აგვისტოს გამოქვეყნებულ ტომ პარფიტის სტატიას „უკრაინული კრიზისი: ნაცისტური ბრიგადა ებრძვის პრორუსულ სეპარატისტებს“, რომელშიც წერია, რომ „აზოველები“ თავიანთ დროშაზე ატარებენ ნეონაცისტური ვოლფსანგელის (მგლის ყმუილი) სიმბოლიკას, ღიად საუბრობენ თეთრი რასის აღმატებული მდგომარეობის შესახებ და არიან ანტისემიტები.

რეალობაში კი პოლკის შევრონზე მის ზედა ნაწილში არის მონოგრამა — ერთმანეთზე გადაკრული „ისტორიული ნიშნით“ I (უკრაინული იდეა) და № (უკრაინის ნაცია). მსგავსი სიმბოლოები აღმოჩნდა უკრაინულ ჰერალდიკაში, კერძოდ, ბილეცკისა და ბილიკოვიჩის გერბებზე.

მოკლედ რომ ვთქვა, ბბს-ს ეს ინფორმაცია ზუსტად იმ პათოსით არის დაწერილი, როგორითაც საუბრობენ „ჩვენი“ ე.წ. სახალხო დამცველი და ლიბერასტული აზროვნების არასამთავრობო ორგანიზაციები. მათთვის ეროვნული სული „საშიშია იმით, რომ ისინი მაგნიტივით იწებებენ მარგინალებს“ და ეროვნული სიმბოლიკები ფაშიზმთან ასოცირდება.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და უბრალოდ ვიტყვი, რომ ლიბერასტულ მსოფლმხედველობას ჰყავს საკმაოდ გავლენიანი მფარველები, რომელთა მთავარ მიზანს „ერი კორპორაციების“ შექმნა წარმოადგენს, ხოლო შემსრულებლებად ბოკერიები, არესტოვიჩები, ადეიშვილები, ლომჯარიები და მსგავსი ტიპები ჰყავთ, რომლებიც მუხლჩაუხრელი იბრძვიან თავიანთი მერკანტილური მიზნის მისაღწევად.

მიზნის, რომელსაც „ბევრი ფული“ ჰქვია და მის მოსაპოვებლად არ ერიდებიან არც დესტაბილიზაციას, რევოლუციას და ომსაც კი.

**ომსაც არ ერიდებიან, რადგან ყველაზე მეტი ფული ომში იშოვება. ცნობილია, რომ უკრაინის დასახმარებლად რამდენიმე ათეული მილიარდი უკვე გამოიყო, შედის იარაღი, მაგრამ უკვე გაცხადდა როგორც ამ იარაღის სხვა ქვეყნებში გადამისამართების, ისე უკვე ათვისებული მილიონების არამიზნობრივად ხარჯვის შესახებ, რის გამოც 12 მაისს უკრაინისთვის დამატებით 40 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფა რესპუბლიკელმა სენატორმა რენდ პოლმა დაბლოკა. მან მოითხოვა, რომ კანონპროექტს დაემატოს პუნქტი, რომლის მიხედვითაც სპეციალურმა ინსპექტორმა მეთვალყურეობა უნდა გაუწიოს ამ თანხის ხარჯვას. ის მოითხოვს, რომ ინიციატივა კანონპროექტში დოკუმენტის დამტკიცებამდე აისახოს.**

კონკრეტულ დასკვნებს არ გავაკეთებ. დაე, თავად მკითხველი გაეცნოს ჩემს მასალებს, გაიხსენოს მისთვის ცნობილი სხვა ინფორმაციები და დასკვნა თავად გააკეთოს.



**წერილს კი საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის იმ სიტყვებით დავამთავრებ, რომლითაც მან საკადრისი პასუხი გასცა ნაცებს, ე.წ. გავლენიან არასამთავრობო ორგანიზაციებს, საერთაშორისო ინსტიტუტების ზოგიერთ წარმომადგენელს და ჟურნალისტებს — თქვენ შეგიძლიათ ყოველდღე ზელენსკიზე ილოცოთ, მე ვილოცებ ჩვენს ქვეყანაზე და ჩვენი ქვეყნის გამთლიანებაზე.**

**გია გაბრიჭიძე**

# „შენი წილი მიწა-წყალი ახატია სხვათა რუკებს“!

## როგორ იცვლებოდა საქართველოს ფართობი და საზღვრები 1921-1927 წლებში

**საქართველოს მიწა-წყლის შესახებ ადრინდელი ცნობები მოგვეპოვება დიდი ქართველი მეცნიერის, ისტორიკოსისა და გეოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის შრომებში. მას ხელთ ჰქონდა მრავალი ძველი ჩანაწერი, რომლითაც შეძლო საფუძვლიანად დაედგინა საქართველოს ტერიტორიული არეალი.**

საქართველოს ტერიტორიის საზღვრების თაობაზე და მასზე მცხოვრები ეთნოსის შესახებ ვახუშტი წერდა: „ხოლო სიგრძე ქვეყნისა არის **პ ეული,** ხოლო სიგანე სპერის ზღვისაკენ **ი ეული,** შუა ადგილი **ლბ ეული,** ხოლო ბოლო კერძი **ლე ეული**, და მდებარეობს კასპიისა და პონტოს ზღვათა შორის“. ე.ი. სიგრძე იყო 80 **ეული**, სიგანე 60 **ეული** და ბოლოც 35 **ეული**.

**ამავე წიგნში, სქოლიოში განმარტებულია, რომ „სამი მილი ერთი ეული არის“, ე. ი. სიგრძე — 240 მილი, სიგანე — 180 მილი, შუა ადგილი — 96 და ბოლოც — 105 მილი (ძველ რუსეთში 1 მილი უდრიდა 7,4 კმ).**

საქართველოს ტერიტორია ჩრდილოეთი განედის 41⁰07’-43⁰35’ და აღმოსავლეთი გრძედის 40⁰00’ -46⁰44’ შორის მდებარეობს და მისი ტერიტორიის ფართობი 76,284 კვადრატული კილომეტრია.

საქართველოს ისტორიული სინამდვილე შიდა და გარე პოლიტიკურ-სოციალურ ვითარებათა მიხედვით იცვლებოდა და შესაბამისად, იცვლებოდა საქართველოს კუთვნილი მიწა-წყლის საზღვრებიც — ქართული მიწის შენარჩუნება-დაცვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი, ტერიტორიის ბუნებრივი და მყარი მიჯნებით შემოფარგლულობა იყო: ჩრდილოეთიდან საზღვრავდა კავკასიონის მთავარი ქედი, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან I მდინარეები და მაღალი მთები, დასავლეთიდან — შავი ზღვა. სწორედ ეს პირობები განსაზღვრავდა მცირედი ძალებით ქართული მიწა-წყლის დაცვას მომხვდური და მოძალადე ურიცხვი მტრისაგან.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ ცნობილ საზღვრებში
ბორჩალოს მაზრა
ბაქო
ბორჩალოს მაზრა
ბაქო
ბორჩალოს მაზრა
ბაქო

„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ქალთა ორგანიზაციის დამფუძნებელი ეროვნული კონფერენცია

# დავაფასოთ, მოვეფეროთ, ვენდოთ ქალებს და ისინი გადაარჩენენ და აღორძინებენ საქართველოს!

## ირაკლი კობახიძე:

**დღეს თამარობაა, თამარ მეფის ხსენების დღე. მეფისა, რომლის სახელსაც უკავშირდება ქართული სახელმწიფოსა და ქართული კულტურის ოქროს ხანა და რომელიც ქართულმა ეკლესიამ, სამშობლოსა და სარწმუნოების წინაშე განსაკუთრებული ღვაწლის გამო, წმინდანად შერაცხა. ყველას გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს!**

სიმბოლურია, რომ ჩვენი პარტიის – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ქალთა ორგანიზაცია სწორედ ამ დღეს, თამარ მეფის ხსენების დღეს ფუძდება.

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ქალები ყოველთვის განსაკუთრებულ როლს ასრულებდნენ. მხოლოდ იმის ხსენება რად ღირს, რომ საქართველო ქრისტიანობას სწორედ ქალმა, წმინდა ნინომ აზიარა. სამშობლოსა და სარწმუნოებისთვის თავდადების ყველაზე თავგანწირული მაგალითიც ქალის სახელს, წმინდა ქეთევან დედოფალს უკავშირდება. საუკუნეების მანძილზე, ქალებს საქართველოში შეჰქონდათ უდიდესი წვლილი ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და სარწმუნოების დაცვაში, ჩვენი ქვეყნისა და მისი კულტურის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით, ძალზე მდიდარია ჩვენი უახლესი ისტორიაც.

დღესაც, საქართველოს ქალები, განურჩევლად მათი ეროვნებისა, განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გამორჩეულია მათი როლი განათლებისა და მეცნიერების სფეროში, ქალებს უდიდესი წვლილი შეაქვთ ქართული კულტურის განვითარებაში, ისინი მსოფლიოს მასშტაბით ასახელებენ ჩვენს ქვეყანას სპორტულ ასპარეზზე, ქალებს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვთ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს მართვაში, საჯარო სამსახურში, ქართული ეკონომიკის განვითარებაში.

პოლიტიკაში ქალების აქტიურ მონაწილეობას, დამეთანხმებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამისათვის, ჩვენმა პარტიამ გასული წლების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გენდერული კვოტების შემოღება, რომლის საფუძველზეც როგორც საქართველოს პარლამენტში, ისე მუნიციპალურ საკრებულოებში ქალების წარმომადგენლობა არსებითად გაიზარდა. თუმცა, გვესმის, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალების კიდევ უფრო აქტიური როლის უზრუნველსაყოფად მეტია გასაკეთებელი.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი პარტიის ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებაც. პარტიის ქალი წევრების პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა, პარტიის ქალ წევრებს შორის კომუნიკაციის, თანამშრომლობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარების ახალი ინსტრუმენტების შექმნა, პარტიის საერთაშორისო ურთიერთობებში პარტიის ქალი წევრების როლის გააქტიურება იქნება ამ ორგანიზაციის უმთავრესი ამოცანები. ამასთან, ცხადია, მმართველი პარტიის ქალთა ორგანიზაციის წარმატებულ მუშაობას შეუძლია მნიშვნელოვანი წვრილი შეიტანოს, ზოგადად, ქვეყანაში ქალების გაძლიერებასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მათი როლის გააქტიურებაში. გვაქვს ამბიციური გეგმები და ამ გეგმების განხორციელებაში ჩვენი პარტიის ქალთა ორგანიზაციას წარმატებები მინდა ვუსურვო!

## ირაკლი ღარიბაშვილი:

**დიდი პატივია ჩემთვის თქვენ წინაშე გამოსვლა ამ ძალიან მნიშვნელოვან დღეს.**

ქართველები სამართლიანად ვამაყობთ ქალების უნიკალური, მე ვიტყოდი, სრულიად განსაკუთრებული როლით ჩვენს ისტორიასა და დღევანდელობაში. იმ წვლილით, რაც მათ მიუძღვით კულტურის, მეცნიერების, განათლების სპორტის, პოლიტიკური ცხოვრებისა და ზოგადად, სახელმწიფოებრიობის განვითარებაში.

წმინდა ნინო, ჩვენი განმანათლებელი და დედოფალი ნანა, მეფე თამარი და ქეთევან წამებული, ბარბარე ჯორჯაძე თუ მარო მაყაშვილი, ნონა გაფრინდაშვილი თუ ელისო ვირსალაძე, თუ მრავალი სხვა ძლიერი, დამოუკიდებელი, განათლებული, შემოქმედი, მებრძოლი ქალის სახელი ნებისმიერი ქვეყნის ისტორიას დაამშვენებდა.

ამიტომ, ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ იმითაც, რომ თამარის ეპოქა, შემდეგ საქართველოს პირველი რესპუბლიკა იყო მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი, რომელმაც, ბევრ თანამედროვე დასავლურ სახელმწიფოზე ადრე, პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური და საოჯახო უფლებების კუთხით სქესთა თანასწორობა დაადგინა და ქალებს საარჩევნო ხმის უფლება მიანიჭა.

რა თქმა უნდა, ეს სახელები და ფაქტები, ქალის როლისადმი ჩვენი ტრადიციული დამოკიდებულება არ ნიშნავს, რომ დავივიწყოთ: სასურველი ვითარების მისაღწევად ჯერაც ბევრი შრომაა საჭირო. ქალთა უფლებების, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის საკითხები ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი, დარეგულირებული არც ჩვენს ქვეყანაში და არც მთელ მსოფლიოში, ყველაზე განვითარებული დემოკრატიების ჩათვლით.

თანასწორობის უზრუნველყოფა კვლავაც ყველა ჩვენგანის, თითოეული ქალისა და მამაკაცის საქმეა. ჩვენმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“, რომლის შექმნასა და გამარჯვებაში, აქვე აღვნიშნავ, ქალები ასევე აქტიურად მონაწილეობდნენ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო სამართლებრივი თუ ინსტიტუციური რეფორმების გატარება ქალთა როლის გაძლიერებისთვის; შემუშავდა და დაიხვეწა კანონმდებლობა ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, ხარისხიანი ჯანდაცვისა და ღირსეული დასაქმების ხელშეწყობა, კვოტირების მექანიზმის შემოღება ამ ღონისძიებათა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია.

დღეს, „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებით, ამ მიმართულებით კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ. ჩვენი დედების და დების, ქალიშვილებისა და მეუღლეების ხმათა გაძლიერება, რასაკვირველია, ძალზე სასიხარულო და მისასალმებელი მოვლენაა ჩვენი პარტიისთვის, ზოგადად შიდაპარტიული დემოკრატიისა და თანასწორობის გაძლიერებისთვის. და მე მჯერა, რომ ის მიზნები, რომელთა მიღწევის ამბიციაც ამ ორგანიზაციას აქვს – ქალთა წინაშე მდგარი გამოწვევების დღის წესრიგში მეტად გამოკვეთა და გადაჭრა, ქალთა მონაწილეობის გაძლიერება, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა – ასევე კარგია მთლიანად ჩვენი საზოგადოების, ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და განვითარებისთვის.

ასე რომ, კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. პირადად ჩემი და საქართველოს მთავრობის სახელით სრულ თანადგომას გპირდებით და თქვენი, ჩვენი საერთო მიზნის მიღწევას და წარმატებას გისურვებთ!

## კახა კალაძე:

**განსაკუთრებით მივესალმები აქ შეკრებილ ძლიერ ქალებს, რომლებიც ყოველდღიური საქმიანობით აძლიერებენ ჩვენს გუნდს და ქვეყანას. აქტიურად არიან ჩართულები ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და საკუთარი წვლილი შეაქვთ საქართველოს შეუქცევადი დემოკრატიული განვითარების პროცესებში.**

იხ. 6 გვ.

# დავაფასოთ, მოვეფეროთ, ვენდოთ ქალებს და ისინი გადაარჩენენ და აღორძინებენ საქართველოს!

(მეხუთე გვერდიდან)

ეს ღონისძიება მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართული პოლიტიკის, ჩვენი პარტიისა და ქართულ პოლიტიკაში ქალთა ჩართულობის ისტორიაში.

დღეს ფუძნდება „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაცია, რასაც წინ უძღოდა დიდი სამუშაოები და ნაყოფიერი შეხვედრები რეგიონებსა და თბილისში, ჩვენი გუნდის წევრ ქალებთან ერთად.

შორეულ წარსულს, თამარ მეფესა და რუსუდანს რომ არ გადავწვდე, საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა მსოფლიოსა და ევროპაში, რომლის 1921 წლის კონსტიტუცია ქალთა და მამაკაცთა საარჩევნო და არა მარტო საარჩევნო, ყველანაირ თანასწორობას უზრუნველყოფდა.

სამწუხაროდ, დამოუკიდებლობის დაკარგვიდან დღემდე, ქმედითი და არსებითი ნაბიჯები ამ მიმართულებით აღარ გადადგმულა, თუმცა, „ქართული ოცნება“ არის ის პოლიტიკური გუნდი, რომელმაც მთელი რიგი ცვლილებები განახორციელა ქალთა უფლებრივი მდგომარეობის გაძლიერების მიმართულებით და შესაძლებელი გახადა, მეტი ქალი ჩართულიყო ქვეყნის საკანონმდებლო ცხოვრებაში.

ევროკავშირის წევრობა მხოლოდ ეკონომიკურ თუ საკანონმდებლო თავსებადობას არ გულისხმობს, ეს ნიშნავს პროგრესულ ღირებულებებზე დაფუძნებულ პოლიტიკურ კულტურასა და ქალთა სათანადო ჩართულობას პოლიტიკაში.

პატრიარქალურ საზოგადოებაში ქალებს ორმაგი ძალისხმევის გაწევა უწევთ. დღემდე ყველაზე განვითარებულ დემოკრატიებშიც კი, იშვიათობაა აუნაზღაურებელი, უხილავი საშინაო შრომის ხილვადობის გაზრდა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ბევრგან არსებობს ანაზღაურების კუთხით არსებული დისბალანსი ქალებსა და მამაკაცებს შორის და არაერთი სხვა უთანასწორობა.

ამ საკითხების გადაწყვეტა შეუძლებელია, თუკი თავად ქალები არ იქნებიან გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე.

დარწმუნებული ვარ, „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაცია ღირსეულად და წარმატებით იმუშავებს ყველა იმ გამოწვევის დასაძლევად, რაც ჩვენს ქვეყანაში დგას ქალების წინაშე.

თქვენ, ახალ სტანდარტს დანერგავთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ კულტურაში და აუცილებლად მიაღწევთ დიდ წარმატებას!

წარმატებას, რომელიც თითოეულ თქვენგანს ეკუთვნის და რომლის მისაღწევადაც, მეც, პირადად, ყოველთვის გვერდში დაგიდგებით!

გამარჯვება ჩვენს ძლიერ ქალებს, გამარჯვება ჩვენს გუნდს!

## თეა წულუკიანი:

**მოგესალმებით თქვენ, ჩვენი პარტიის წევრებს, იმ ქალებს, ვისი წვლილიც ჩვენს სხვადასხვა გამარჯვებაში არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ის გამარჯვებები, რაც ჩვენ ყველამ ერთად მოვიპოვეთ, ამ პარტიამ, არაერთი წლის მანძილზე, არის თქვენი თავდაუზოგავი შრომის შედეგი და მინდა დავიწყო დიდი მადლობით. თქვენ ხართ ის ადამიანები, ვინც მრავალრიცხოვანი ხართ ამ დარბაზში. ამავდროულად, ჩვენ ვიცით და ეს საზოგადოებამაც უნდა იცოდეს, ვინც დღეს გვისმენს, ხართ მცირერიცხოვანი იმიტომ, რომ თქვენ მრძანდებით დელეგატები, და თქვენ წარმოადგენთ უამრავ ქალს, რომელიც რეგიონებში დარჩა და თქვენ წარმოგგზავნათ დამფუძნებელ ყრილობაზე. მათაც, რასაკვირველია, მთავრობისა და პარტიის სახელით მივესალმები.**

როდესაც ჩვენ მოვდიოდით ქვეყნის სათავეში, ეს იყო დრო, როცა ქალი პოლიტიკოსის ღირსება და როგორც ასეთი, ქალი პოლიტიკოსი იყო ფეხქვეშ გათელილი საკაშვილის მინძური პოლიტიკის წყალობით, და რეალურად, ქალ პოლიტიკოსს არავინ აღიქვამდა სერიოზულად. ის იყო მხოლოდ ქილიკისა და დაცინვის საგანი. ასევე, როდესაც ჩვენ მოვედით ხელისუფლებაში, არ არსებობდა არავითარი სამართლებრივი ნორმა, თუ არ ჩავთვლით ერთ-ორ მოკრძალებულ კანონს, რომელიც უცხოელების ზეწოლის ქვეშ იყო მიღებული წინა ხელისუფლების მიერ და რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს უფლებებს ოჯახში, ჩვენს უფლებებს სამსახურში და ჩვენს უფლებებს პოლიტიკაში. როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ მოქალაქეობა ჩამოართვა ბიძინა ივანიშვილს, ის მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო ვერ გახდა ჩვენი პარტიის პირველი თავმჯდომარე და სწორედ მან, კაცმა პოლიტიკოსმა აქცენტი გააკეთა ქალ პოლიტიკოსზე და ეს თავმჯდომარე იყო ქალი თავმჯდომარე, ქალბატონი მანანა კობახიძე. მე ვიტყოდი, სწორედ ასე, ფეხბედნიერად დაიბადა ეს პარტია, ქალი თავმჯდომარისადმი ნდობის საფუძველზე. არავის ეწყინება, მაგრამ ეს მე უნდა ვთქვა და ყველაზე კარგად ვიცი, როგორც მოწმემ, პირველ წელს ჩვენი ხელისუფლებაში ყოფნისა, ერთადერთი მამაკაცი, ვისაც სჯეროდა, რომ ქალებისთვის კვოტა აუცილებელია (რომელიც ხელს უწყობდა, რომ ქალი კანდიდატები ყოფილიყვნენ და პარტიული სია ყოფილიყო დაბალანსებული), ეს გახლავთ სწორედ ბიძინა ივანიშვილი. მე ამას არ ვამბობ იმიტომ, რომ ეს ასე უნდა ითქვას, ეს ნამდვილად ასე იყო. შემდეგ უკვე ამ სულისკვეთებით პარტიამ გააგრძელა და ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობისას, 2014 წლის 19 ივნისს მე, როგორც იუსტიციის ქალ მინისტრს, მისი დელეგირებით, წილად მხვდა პატივი, თქვენი ყველას სახელით, თქვენი გოგონა შვილების სახელით, ხელი მომეწერა იმ კონვენციისთვის სტრასბურგში, რომელი კონვენციის ხელმომწერიც არ არის დღემდე ზოგიერთი ევროპული ქვეყანაც კი. ეს გახლავთ სტამბოლის კონვენცია. სტამბოლის კონვენციის ხელმოწერის შემდეგ, გაიხსნა ძალიან რთული, 3-წლიანი პერიოდი იმისთვის, რომ იმ მოწვევის პარლამენტს 2017 წელს მისი რატიფიცირება მოეხდინა.

ჩვენ, საქართველოს მთავრობამ 24 ძალიან დიდი საკანონმდებლო პაკეტი შევიტანეთ პარლამენტში და შევცვალეთ არაერთი აქტი. სწორედ ასე დავამარცხეთ დუმილი. როდესაც გვჩაგრავენ, როდესაც გვცემენ, როდესაც არის ოჯახში ან ოჯახს მიღმა ძალადობა, დუმილი აღარ არის წესი. ეს სწორედ სტამბოლის კონვენციამ და „ქართული ოცნების“ მიერ გატარებულმა რეფორმებმა მოიტანა. რასაკვირველია, ეს არ არის საკმარისი, ამიტომაც სულ ახლახან, ბატონ ირაკლი კობახიძის ლიდერობით, პარლამენტმა მიიღო კვოტების შესახებ კანონი. ძალიან ხშირად შემოქმედი ქალები მეკითხებიან, როგორც იურისტს, მათ ამჟამინდელ სამინისტროს ხელმძღვანელს, კი მაგრამ რისთვის არის ეს კვოტები საჭირო?! ეს კვოტები, ნორმალურ მდგომარეობაში საჭირო რასაკვირველია, არ არის. მაგრამ ჩვენ ეს კვოტები გვჭირდება და მე, როგორც ქალი წევრი ამ პარტიის, ყველა წევრ იმ დეპუტატს, ვინც ხმა მისცა ამ კანონს, ვუხდი ძალიან დიდ მადლობას. შეიძლება ვიღაცამ გვითხრას, რაში გჭირდებათ კვოტები, თქვენ ხომ უკვე ხართ ვიცე-პრემიერ მინისტრი, თქვენ ხომ უკვე ხართ პარლამენტში, თქვენ ხომ უკვე ხართ საკრებულოში, უკვე ხართ მერი. ჩვენ ეს კვოტები მაინც გვჭირდება. ჩვენ ეს კვოტები გვჭირდება ახალგაზრდა ქალებისთვის, ვინაიდან მაინც პოლიტიკა ქალებისთვის დახურულია. რაც არ უნდა იყოს პარტიაში სულისკვეთებ, კანონი ყველაზე დიდი გარანტიაა. ამიტომაც ჩვენ, ჩვენმა პარტიამ ქალებს ფართოდ გაგვიღო პოლიტიკის კარები და მე მართლაც არ დავიღლები, რომ ვთქვა მადლობა. ეს კვოტები ჩვენ გვჭირდება და ამ კვოტებს გამოიყენებს ყველა ის ახალგაზრდა ქალი, რომელიც ამ ორგანიზაციაში შემოვა.

დამოლოს, კიდევ ერთხელ მადლობა თქვენ, ჩვენი პარტიის ქალებს, რომლებიც აქ ბრძანდებით, რომლებიც ტელევიზიით გვიცქერთ და გვისმენთ, იმ თავდადებული შრომისთვის. ეს შრომა არ არის უბრალოდ შრომა, ეს არის შრომა ბოროტების წინააღმდეგ, ბრძოლა მშვიდობისათვის, ბრძოლა იმ ბავშვებისათვის, ვინც ჩვენი ადგილი უნდა დაიკავოს, მაგრამ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი არიან ისინი, ვინც არ ჩანან კადრში, ისინი, ვინც არ ჩანან პარტიაში. ორი კატეგორია მინდა გამოვყო, რის გარეშეც არ მინდა დღეს ეს ტრიბუნა დავტოვო. პირველნი არიან ჩვენი თანამებრძოლი მამაკაცების მეუღლეები. მე მინდა მათ ვუთხრა მადლობა გამძლეობისთვის. მათ ვუთხრა მადლობა მოთმინებისთვის იმიტომ, რომ არ არსებობს წარმატებული კაცი პოლიტიკაში, თუ მის ზურგს უკან არ დგას ღირსეული, მოთმინებით აღვსილი ქალი, რუდუნებით ოჯახს რომ უვლის და თავისი კარიერაც რომ აქვს, ან შვილებს ზრდის. ამიტომაც მადლობა მათ და ბოდიშს ვუხდით მათ ყველა იმ შეურაცხყოფისთვის, რასაც ისინი ჩვენ მაგივრად იღებენ და ასევე, მადლობა მინდა ქალბატონებს გადავუხადო, თითოეულ თქვენ ოჯახის წევრს, თქვენ მეუღლეებს, ჩემს მეუღლეს, ვუთხრა მადლობა იმიტომ, რომ ისინი არიან ის კაცები, ვისაც, როდესაც შეურაცხყოფას გვაყენებენ, უწევთ ამის მოთმენა, ჩვენი მხარდაჭერა და თუ ჩვენ დღეს ვართ მცირეოდენით მაინც წარმატებულები, ეს პირველ რიგში ამ კაცების დამსახურებაა. მადლობა ყველას.

## ნინო ლაცაბიძე:

**დღეს ჩვენ ვაერთიანებთ ქალებს და იქმნება ახალი პოლიტიკური რეალობა, სადაც აუცილებლად გავიზიარებთ ერთმანეთის წარმატებებს და ერთად დავძლევთ იმ გამოწვევებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვაწუხებს.**

გიყურებთ ამდენ ძლიერ ქალს და მინდა, კიდევ უფრო მეტი ქალი იკავებდეს სოფლებსა და ქალაქებში წარმომადგენლობით და აღმასრულებელ პოზიციებს.

დღევანდელი გაერთიანებით ახალ შესაძლებლობას მივცემთ ქალებს და განსაკუთრებით, გოგონებს, იმისთვის, რომ ჩაერთონ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში.

წლების წინ მეც ამ გუნდმა მომცა შესაძლებლობა, ვყოფილიყავი აქტიურად პოლიტიკურ ასპარეზზე და ამასთან ერთად, არ ვთქვი უარი ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე მთავარზე, ოჯახზე, მე შევძელი შემეთავსებინა საყვარელი საქმე ყველაზე ძვირფას, მრავალშვილიან ოჯახზე ზრუნვასთან ერთად, ჩვენი გუნდი თქვენთან ერთად კიდევ ძალიან ბევრი ქალის წარმატების გამზიარებელი და ხელშემწყობი იქნება.

მაშ ასე, დღეს ვერთიანდებით ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო მეტი წარმატებისთვის და ქალების ახალი შესაძლებლობებისთვის პოლიტიკაში.

## ნინო წიკლაური:

**ძლიერი ქალები საქართველოს ისტორიაა და საქართველო თანასწორობის ქვეყანაა. მაშინ როდესაც ქალი მეფე, მეოცე საუკუნის დასაწყისში პირველი პარლამენტარი ქალები, მტრის წინააღმდეგ მებრძოლი გმირი და უამრავი წარმატებული ქალი ჩვენი ისტორიის ნაწილია, ქალების გაძლიერებაზე ზრუნვა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ლეგიტიმური მიზანია.**

ადამიანი ყველა სახელმწიფოსთვის ყველაზე დიდი ღირებულებაა და თუ ჩვენი მოსახლეობის 50%-ზე მეტს წარმოადგენენ ქალები და ისინი განსაკუთრებული უნარების, შესაძლებლობების და მონაცემების არიან, ისინი უნდა მონაწილეობდნენ პროცესებში.

თქვენ, აქ მსხდომი ქალები და ასიათასობით სხვა ქალი, თქვენ-თქვენი მიმართულებებით წარმატების მაგალითი ხართ, მოტივაცია სხვებისთვის და სახელმწიფოსთვის რეალური შესაძლებლობა, რომ თქვენი ძალა და ენერგია იყოს გამოყენებული.

და როდესაც შესაძლებლობის განვითარებას განსაკუთრებული საფუძველი სჭირდება და როდესაც ქალების და კაცების თანაბარი შესაძებლობა კონსტიტუციით არის უზრუნველყოფილი, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ დამატებითი შესაძლებლობები ამ ჩვენი უნარების განსავითარებლად.

დღეს ქალთა ორგანიზაციის დაფუძნება კიდევ ერთი დეკლარირება არის ჩვენი მხრიდან, რომ გაცხადებული მიზანი – ქალების გაძლიერების უკვე შიდაპარტიულ სტრატეგიას და პრიორიტეტს წარმოადგენს.

ჩვენ ამ ორგანიზაციაში კარს ვხსნით, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენი ერთგული, ძალიან მშრომელი და ძალიან მაგარი ქალისთვის და ასევე ყველა მხარდამჭერი ქალისთვის, ვინც იზიარებს იმ იდეოლოგიას, რომელსაც ჩვენი პოლიტიკური გუნდი ატარებს.

ამ ორგანიზაციის დაფუძნებით ჩვენ ვეუბნებით ყველას, რომ ჩვენს რიგებშივე გავაძლიერებთ ქალებს, რომ მათ წარმატებას შევუწყობთ ხელს და გენდერული თანასწორობა იქნება ჩვენი პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი.

ქალების პოლიტიკაში მონაწილეობა არ არის მხოლოდ რაოდენობა. ეს უნდა იყოს ქალების ჩართულობა და მათი შინაარსობრივი მონაწილეობა და რაოდენობა უნდა აისახოს სწორედ ამაში.

**წარმატებები, ჩვენ და ჩვენი გაძლიერებით წარმატებები ჩვენს ქვეყანას...**

# „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დაარჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“!..

## წარსულის სოციალისტური მოგონებები

**ვაკეში, სტუდქალაქთან, სადაც 5 ნომერი ტრამვაი წრეზე ბრუნდებოდა, ერთ დღესაც გალაკტიონის საყვარელი „ნესტორას ბუტკა“ აიღეს, იმ ადგილას კი დიდი საცხოვრებელი სახლი წამოჭიმეს. იქვე ახალი ჟურნალ-გაზეთების ჯიხური ჩადგეს.**

სწორედ იმ პერიოდში დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „თბილისმა“, რომელმაც უმალვე მოიპოვა მკითხველის აღიარება. გარდა იმისა, რომ გაზეთში იმ დღის ახალ და საინტერესო ამბებს წაიკითხავდით, საზოგადოების მოწონების და დაინტერესების „საიდუმლოება“ ისიც იყო, რომ მხოლოდ იქ იბეჭდებოდა სამგლოვიარო განცხადებები. იმ საღამოსვე შეიტყობდით მარტო თბილისში კი არა, საქართველოს ნებისმიერ კუთხეში – ვინ გარდაიცვალა, სად და როდის იქნებოდა პანაშვიდი და დაკრძალვა.

რადგან „თბილისი“ საღამოს გაზეთი იყო, ჯიხურშიც საღამოობით მოჰქონდათ. გაზეთის შეძენის მსურველთა მიერ მყისვე გამოცოცხლდებოდა იქაურობა. მეც მათ შორის ვიყავი, დედაჩემი ამ გაზეთის გარეშე ვერ ისვენებდა და გავრბოდი ჯიხურისკენ ხურდების ჩხრიალით – გაზეთი ხომ მაშინ სულ რაღაც ორი კაპიკი ღირდა.

საოცარია მაგრამ ფაქტია, ზოგიერთი ორ-სამ ეგზემპლარს ყიდულობდა, რომ გაეხარებინა მეზობელი ან ახლობელი.

ჯიხურთან მისვლა სხვა მიზეზითაც მაინტერესებდა: იქ თავს იყრიდნენ ჩემი უბნის ყველაზე გამოჩენილი ადამიანები – აკადემიკოსები, პროფესორები, გენერლები, მწერლები, პოეტები, მსახიობები.. მიხაროდა და მსიამოვნებდა ამ ბუმბერაზი, სახელოვანი პიროვნებების ყურება და მათ სიახლოვეს ყოფნა. ყველაზე ადრე მოვიდოდა ახოვანი გოგლა ლეონიძე ისაკას შეკერილი დიდი ბუკლეს ქუდით, დაეყრდნობოდა ჯიხურის რაფას და დაიმუხუნებდა: რა არის კაცო, დღესაც იგვიანებს გაზეთი?

შეკრებილი ხალხი კი მორიდებით შესცქეროდა და მოთმინებით ელოდა, კიდევ რას იტყოდა ლექსის დიდოსტატი.

ჯიხურს ხშირად სტუმრობდნენ იოსებ ნონეშვილი და კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი. ისინი ერთად მოვიდოდნენ, ყველას თავის დაკვრითა და ღიმილით მიესალმებოდნენ, რიგს დაიკავებდნენ. თუ გოგლა იქ დახვდებოდათ, ხაზგასმული პატივისცემით იკითხავდნენ და გააბამდნენ მუსაიფს, რომელსაც ყველა ყურადღებით უსმენდა. გაიხედავდით და ახლა აკადემიკოსი ვარლამ თოფურია და პროფესორი დიმიტრი ბენაშვილი ერთად, დინჯი ნაბიჯით მობრძანდებოდნენ, მათ ვალოდია სალაძე მოჰყვებოდა, 31 საავიაციო ქარხნის დირექტორი, მამაჩემის უახლოესი მეგობარი, მერაბ ბერძენიშვილი და მისი მშვენიერი მეუღლე კირა მიქელაძე, გიგლა ფირცხალავა, ბიძინა ავალიშვილი, ალექსანდრე ნეიმანი, გენერლები: პავლე აბრამიძე და ნიკოლოზ თავართქილაძე, ესენიც მამაჩემის მეგობრები იყვნენ, საბჭოთა კავშირის გმირი, მფრინავი ოთარ ჩეჩელაშვილი, პოლკოვნიკი ვლადიმერ აბაზაძე და მისი ულამაზესი მეუღლე ირა ლობჟანიძე, თბილისში საყოველთაოდ ცნობილი დამრტყმელი ამირან დუმბაძე და ანდრო (ჩიჩიკა) ჭიჭინაძე, ჩხეიძეების ცნობილი ოჯახიდან ჩემი ტოლი ზურიკო (პეტრე) ჩხეიძე და სხვა მრავალი... ერთი სიტყვით, თუ ვინმე, რომელიმე სახელოვანი ადამიანის ხილვას მოისურვებდა, ჩვენს ჯიხურთან უნდა მოსულიყო.

კოპლეგიანი, შავ-თეთრით გაწყობილი მოხდენილი კაბით „მოფრიალდებოდა“ ულამაზესი, ყველასთვის საყვარელი მედეა ჯაფარიძე. გაბრწყინებულ თვალებს შეავლებდა რიგში მდგომთ, ყველას უღიმოდა და თბილად ესალმებოდა, ზოგს მოიკითხავდა. კაცები მოკრძალებით თავს უკრავდნენ, რიგს უსიტყვოდ მოწიწებით უთმობდნენ, ისიც შეიძენდა ამ „ჭორიკანა“ გაზეთს და სწრაფი ნაბიჯით გაეშურებოდა, რათა გაეხარებინა იქვე მუხაძის ქუჩაზე მცხოვრები მისი მშობლები.

ვაკელების ამ ცნობილ ჯიხურთან, დილით ადრეც იდგა დილის გაზეთების მსურველთა დიდი რიგი. სამსახურში მიმავალ ხალხს აინტერესებდა ახალი, ცინცხალი ამბები, როგორც დიდი საბჭოეთის ასევე ადგილობრივი.

მაშინ სახელმწიფო ბიუჯეტი აფინანსებდა ჟურნალ-გაზეთებს და წიგნების გამოცემას. დრო შეიცვალა. სამწუხაროდ, გაძვირებულ გაზეთებს მოსახლეობა დღეს ვერც ყიდულობს და არც კითხულობს.

მართლაც საოცარი და დაუვიწყარი დრო იყო.

მენატრება იმ დროის თბილისი და მოსიყვარულე თბილისელები.

* * *

**ვერაზე იქ, სადაც ყოფილი გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაა, რომლიდანაც ჩვენმა მაშინდელმა უსამშობლო და უტიფარმა ხელისუფლებამ ჟურნალისტები მასშტაბური სპეცოპერაციის ძალით, 2007 წლის 10 აგვისტოს ღამით გამოყარა, ადრე ერთსართულიანი შენობების გრძელი რიგი იყო. სადაც საუკეთესო სასაჩუქრე ქართული ღვინოები, კონიაკი, არაყი, შამპანური, ლიქიორი, საკონდიტრო ნაწარმი, ტკბილეული და სუვენირები იყიდებოდა. „подарочный ряд“ ასე ეძახდნენ მას ქალაქელები.**

ვინაიდან მაშინდელი გამომცემლობის მცირე სიმძლავრეები ვერ აუდიოდა გაზეთებისა და ჟურნალების ბეჭდვას, აუცილებელი გახდა მისი გაფართოება. დაიწყო ბელინსკის ქუჩის დასაწყისში კონიაკის და არყის მწარმოებელი უდიდესი ქველმოქმედის დავით სარაჯიშვილის დროინდელი მიწისქვეშა ქარხნის ნგრევა, მის ადგილას კი გრანდიოზული სარედაქციო-საგამომცემლო კორპუსის მშენებლობა.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე ჩარიცხვისთანავე სწორედ ამ სამშენებლო „პოლიგონზე“ დავიწყე მუშაობა. ყველა სამშენებლო ობიექტზე, როგორც წესი, მუშაობა 8 საათზე იწყებოდა, დაგვიანების შემთხვევაში მკაცრად ისჯებოდი.

შესვენებებზე, თორმეტი საათისთვის, ბიჭები ქუჩის მეორე მხარეს, ვერის ბაზრის მიმდებარედ, დურმიშხანის „ზაბეგალოვკაში“ გადავდიოდით. მენიუ თითქმის ყოველთვის ერთი გვქონდა – ხინკალი და ერთი მომცრო კათხა ლუდი, ხინკალს ხანდახან ქაბაბით ჩავანაცვლებდით.

ქარხანა ძველი ქართული აგურით იყო ნაშენები. დუღაბი ისეთი მტკიცე გახლდათ, რომ თაღოვანი კედლების დაშლა-დანგრევა ძალიან გვიჭირდა. არადა, ძველებური, მძიმე პნევმატური სანგრევი ჩაქუჩებით ვმუშაობდით. ძალიან ვიღლებოდით და შესვენებაზე დურმიშხანთან სტუმრობა კურორტზე დასვენებასავით გვიხაროდა. კიდევ უფრო ბედნიერები ვიყავით, თუ ბელინსკის ქუჩას „ჩამოყოლილი“ ჩვენი თაობის უსაყვარლესი ადამიანი, თბილისის ნაღდი კოლორიტი ნიაზ დიასამიძე გამოჩნდებოდა... ის ჩვენზე 4-5 წლით უფროსი იყო...

თითქმის ყოველთვის ძაღლს მოასეირნებდა –- თაფლისფერ სეტერს, რომელსაც შალიკო ერქვა. ჩამოიკლიდა და ჩვეული ღიმილით შემოგვძახებდა: გამარჯობა, ბიჭებო, როგორ ხართ, რასა იქმთ!..

რა თქმა უნდა, მორიდებით მოვიპატიჟებდით. ისიც არასდროს უარს არ გვეუბნებოდა.

ამ დროს დაბარებულივით გამოჩნდებოდა ხოლმე ერთი შეუხედავი, ჩია ტანის, შუახნის ვერელი სომეხი, სახელად გრანტიკა.

მოვიდოდა. დიდი ამბით, ქუდის მოხდით და თავის დაბლა დაკვრით მიესალმებოდა ჯერ ნიაზს, შემდეგ ჩვენც და შორიახლოს სიცივისგან მობუზული აიტუზებოდა.

ნიაზი ეტყოდა: აბა, ჩემო გრანტიკჯან, ერთი შენი ხელოვნება გვაჩვენე, ლამაზი სტოიკა დაიჭირე.

გრანტიკასთვის თხოვნის გამეორება საჭირო არ იყო, სწრაფად თეთრი მარმარილოს იატაკს ხელებით დაეყრდნობოდა და პალტოიან-ქუდიანა ყირაზე დგებოდა. ჩამოუცურდებოდა ფეხებზე ჭუჭყიანი, ფართხუნა შავი შარვალი და გამოუჩნდებოდა წვრილი, ბანჯგვლიანი წვივები, დაფლეთილი სხვადასხვა ფერის წინდები, რომლებსაც რამდენიმე ნომრით დიდი, გაცვეთილი და ჭუჭყიანი „ბათინკები“ გვირგვინად ადგა...

მერე თავის შალიკოს მიმართავდა ნიაზი – ახლა შენ დაიჭირე „სტოიკა“ და ისიც ლამაზად დაცუცქდებოდა უკანა თათებზე, წინა თათებს კი მკერდზე კოხტად მიიკრავდა.

„ნომერი“ რომ დამთავრდებოდა, მაგიდასთან მოვიპატიჟებდით თვითნასწავლ აკრობატს და შესვენების იმ ერთ სანუკვარ საათს ნიაზთან და ვერელ გრანტიკასთან ხალისიან საუბარში ვატარებდით.

რა გვარი იყო გრანტიკა, სად ცხოვრობდა, რით არსებობდა, არავინ იცოდა. ვინ წარმოიდგენდა მაშინ, რომ გავიდოდა ათეული წლები და ასობით და ათასობით „გრანტიკების“ მაგვარი უსახლკარო, უღარიბესი და დაბეჩავებული ადამიანებით გადაივსებოდა ჩვენი დედაქალაქი. ვინ იფიქრებდა, რომ თბილისის სანაგვეებში გაღატაკებული ადამიანები საკვების საძებნელად დაიწყებდნენ ქექვას?!

გრანტიკა რომ გრანტიკა იყო, ამას ისიც არ იკადრებდა... არც თბილისელები დაუშვებდნენ მათ გვერდით მყოფის ასე დაცემასა და დეგრადაციას.

ნიაზს ბევრ სხვა ვითარებაშიც შევხვედრივარ, ის საზოგადოებას სასიამოვნოდ აოცებდა თავისი მოქნილი იუმორით, მაგრამ ბელინსკის ქუჩის სიურრეალისტური სანახაობები მაინც განსაკუთრებით შემორჩა ჩემს მეხსიერებას...

გოგლა ლეონიძე

იოსებ ნონეშვილი

მედეა ჯაფარიძე


ამირან დუმბაძე

ნიაზ დიასამიძე

**ომარ მარგველაშვილი**

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
# ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ბაზისბანკის“ (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლე) განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს დიანა ოზმანოვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი (საკადასტრო კოდი: 81.10.29.479).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 4793.33 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 16 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP79015622; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 790156

6. **მოვალე:** დიანა ოზმანოვი (პ/ნ 01020011962), თბილისი, იაკინთე ლისაშვილის შეს. №10.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP79015622; ლოტის ნომერი: 790156).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 27 მაისის 10:00 საათამდე.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ
# ᲐᲣᲥᲪᲘᲝᲜᲘᲡ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ბაზისბანკის“ (ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლე) განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ნუგზარ სოლომონიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

**აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:**

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ნუგზარ სოლომონიძე (პ/ნ 61009012614), ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16

**უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:**
ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16 (საკადასტრო კოდი: 05.32.01.243.01.01.016).

**უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 30049.9 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2022 წლის 16 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2022 წლის 27 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP79015722; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 790157

6. **მოვალე:** ნუგზარ სოლომონიძე (პ/ნ 61009012614), ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. №163, სართული 4, ბინა №16.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP79015722; ლოტის ნომერი: 790157).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2022 წლის 27 მაისის 10:00 საათამდე.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲝᲪᲮᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲒᲕᲘᲡᲠ...

**14 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲨᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ �პᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲙᲐᲢᲐᲚᲘᲜ ᲜᲝᲕᲐᲙᲘᲡ ᲘᲜᲐᲒᲣᲠᲐᲪᲘᲐ. ᲙᲐᲢᲐᲚᲘᲜ ᲜᲝᲕᲐᲙᲛᲐ ᲘᲜᲐᲣ�გᲣᲠᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲐᲡ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲓᲐᲒᲛᲝ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲭᲠᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲔᲬᲕᲔᲕᲐ, ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲐᲛ ᲒᲖᲘᲗ ᲑᲣᲓᲐ�პᲔᲨᲢᲘ ᲨᲔᲔᲪᲓᲔᲑᲐ ᲒᲐᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲝᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲬᲚᲘᲐᲜ ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔ ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡᲗᲐᲜ.**

უნგრეთის უარმა უკრაინისთვის იარაღის მიწოდებაზე და წინააღმდეგობამ რუსული ნავთობის იმპორტზე ევროკავშირის ემბარგოსთან დაკავშირებით, უარყოფითი გავლენა მოახდინა ბუდაპეშტსა და ვარშავას შორის ურთიერთობებზე. **„სამშაბათს, 17 მაისს მივდივარ ვარშავაში პოლონეთის პრეზიდენტთან შესახვედრად. ბატონო პრეზიდენტო, ძვირფასო ანდჟეი (დუდა), მადლობას გიხდით იმ შესაძლებლობისთვის, ვისაუბროთ ისე, როგორც ეს მეგობრებს შეეფერით“,** – თქვა ნოვაკმა საინაუგურაციო სიტყვაში.

**„ჩვენ ვგმობთ პუტინის აგრესიას, შეიარაღებულ შეჭრას სუვერენულ სახელმწიფოში. ჩვენ უცვლელად ვამბობთ უარს ყველა იმ ძალისხმევაზე, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის აღდგენისკენ“,** – დასძინა მან. ნოვაკმა აღნიშნა, რომ ომი უკრაინაში ასევე **„ჩვენი, მშვიდობისმოყვარე უნგრელების წინააღმდეგ მიმდინარეობს“.**

## ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲜᲐᲓᲐᲕᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ „ᲝᲡᲣᲠᲘ“ ᲢᲐᲜᲙᲘᲐ...

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ცნობით, 128-ე ბრიგადამ ხელთ იგდო ნადავლის სახით რუსული ტექნიკა ჩრდილოეთ ოსეთიდან, მათ შორის უახლესი BMP-3, იარაღი, საბრძოლო მასალა და სამხედროების პირადი ნივთები.

**„კარპატისპირეთის 128-ე ცალკეული სამთო-მოიერიშე ბრიგადა, უკრაინის შეიარაღებული ძალები სხვა ქვედანაყოფებთან თანამშრომლობით აგრძელებს რუსების უკუგდებას და უკრაინის ოკუპირებული მიწების გათავისუფლებას“,** – ნათქვამია განცადებაში. ამასთან, ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ უკრაინის ძალების შეტევის შედეგად რუსები გაიქცნენ ბრძოლის ველიდან, მიატოვეს ფაქტობრივად, ხელუხლებელი უახლესი BMP-3, საბრძოლო მასალით (ყუმბარმტყორცნები, ნაღმები, ცეცხლსასროლი იარაღი), დოკუმენტები, პირადი ნივთები. დოკუმენტების თანახმად, აღნიშნულ მონაკვეთში, მანამდე ჩრდილოეთ ოსეთში, ქალაქ ვლადიკავკაზში, სოფელ სპუტნიკში ბაზირებულ სამხედრო ნაწილ 43057-დან უკრაინაში გაგზავნილი რუსეთის არმიის ჯარისკაცები იმყოფებოდნენ.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛ�წᲘᲤᲝ ᲡᲐᲥᲕᲔᲣᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ - ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

## ᲐᲘᲡᲔᲚ ᲐᲨᲘᲠᲝᲕᲐᲡ ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

### ᲥᲕᲔᲧᲜᲓᲔᲑᲐ „ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲗᲛᲔᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ

**ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ - ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ) 2022 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ �გᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲗ (ᲡᲐᲥᲛᲔ №3/165-21), ᲐᲓ�გᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲚᲝᲛᲗᲐᲒᲝᲠᲐᲐᲚᲒᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲘᲡ (ᲡᲘᲒᲠᲫᲘᲗ - 15 ᲙᲛ) ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ - ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ) ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲒᲖᲔᲑᲘᲡ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲡ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ - ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ) ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ, ᲐᲘᲡᲔᲚ ᲐᲨᲘᲠᲝᲕᲐᲡ (პ/ნ 28001112247) (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ - ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔ) ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ, ᲥᲐᲚᲐᲥ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ, 26 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ, ᲐᲠᲐᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ ᲛᲘ�წᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲡ (ს/კ 83.02.03.712) ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ 25 000 Კ�ვ. ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲖᲔ - 1 884 Კ�ვ. ᲛᲔᲢᲠᲖᲔ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ - ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ), ᲠᲐᲖᲔᲪ 2022 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲐᲓᲚᲠᲣᲚᲔᲑᲝ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ.**

**ᲡᲘᲞ - ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲠᲔᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡ (ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲨᲘ - ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ) ᲐᲛᲝᲜᲐ�წᲔᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲑᲝ ᲒᲘᲠᲐᲕᲜᲝᲑᲐ**

**(ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲑᲝ ᲒᲘᲠᲐᲕᲜᲝᲑᲐ/ᲘᲞᲝᲗᲔᲙᲐ: 102019052041, 14/02/2019, 10:45:29; ᲐᲘᲡᲔᲚ ᲐᲨᲘᲠᲝᲕᲐ ს/ნ 777777777, პ/ნ 28001112247; ᲡᲐ�გᲐᲜᲘ: ᲛᲗᲔᲚᲘ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ; ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ: ᲨᲔᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲐ, №05611054, 14.02.2019, ᲨᲔᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ).**

**ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲘᲗ, ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲚᲓ ᲨᲔᲛᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲝ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲠᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲐᲛᲝᲜᲐ�წᲔᲠᲨᲘ ᲤᲘᲥᲡᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲓᲐᲡᲢᲣᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐᲡ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲘᲡ ᲠᲔᲙᲘᲕᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲝ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲩᲐᲠᲘᲪᲮᲕᲐᲡ, ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲩᲐᲑᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ 5 (ᲮᲣᲗᲝ) ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲓᲦᲔᲨᲘ.**

**ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲣᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲘᲛᲘᲡ �გᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲔ�პᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲘᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲜᲡᲢᲘᲢᲣᲪᲘᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ 434-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲡᲐᲙᲝᲛᲞᲔᲜᲡᲐᲪᲘᲝ ᲗᲐᲜᲮᲐ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲓᲔᲑᲐ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲓᲔ�პᲝᲖᲘᲢᲝ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲖᲔ. ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲓᲔᲪᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲡ ᲗᲮᲝᲕᲡ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡ�წᲘᲜᲝᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲝᲢᲐᲠᲘᲣᲡᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲪᲝᲖᲘᲢᲝ ᲐᲜ�გᲐᲠᲘᲨᲖᲔ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲜᲝᲢᲐᲠᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲗᲐᲜᲮᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲤᲐᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲓᲐ�პᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚ ᲗᲐᲜᲮᲐᲖᲔ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲗᲐᲜᲮᲐᲡ (ᲓᲐᲘᲥᲕᲘᲗᲔᲑᲐ ᲡᲐᲜᲝᲢᲐᲠᲝ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲘ).**

**ᲓᲔᲪᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲔᲑᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ, ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲝ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲜᲐᲪᲕᲚᲝᲓ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐᲖᲔ, ᲘᲓᲐᲝᲜ ᲡᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝ ᲬᲔᲡᲘᲗ, ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲔᲠᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ.**

# კოლეგის უკვდავება

**ნუგზარ ფოფხაძე, მინდია უგრეხელიძე, არჩილ გოგელია, აკაკი სიხარულიძე, რამინ ჟელიძე, გოჩა ხუნდაძე, სპარტაკ ძოგულია, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, გია პლატონიშვილი, გია გაბრიჭიძე, ოთარ ტურაბელიძე, კახა ძორიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტი და რედაქტორი, ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის ნაცადი ორგანიზატორი, ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის, „ოქროს ფრთის“ ლაურეატი**

## არმაზ სანებლიძე

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.**



**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი დიდი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი ჟურნალისტი, წლების განმავლობაში ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის წევრი, მრავალი ჟურნალისტური პრემიის ლაურეატი, თაობათა აღმზრდელი და ერთგული მეგობარი**

## არმაზ სანებლიძე

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს და სრულიად საქართველოს.**

**არმაზ სანებლიძის პანაშვიდი გაიმართება დღეს, ორშაბათს, საბურთალოს სასაფლაოზე მდებარე მთავარანგელოზის პატარა ტაძარში. გამოსვენება ამავე ტაძრიდან — სამშაბათს, 17 მაისს, 15 სთ-ზე.**

**(მისამართი: უნივერსიტეტის ქუჩიდან მარცხნივ ასახვევი (ნეოგაზთან), მთავარანგელოზის პატარა ეკლესია.**

# ნეტა ყველა ქვეყანაში გვყავდეს თითო ჩილაჩავა!

**15 მაისს ცნობილი პოეტის და საზოგადო მოღვაწის, რუსთაველის პრემიის ლაურეატის, საქართველოსა და უკრაინის ღირსეული შვილის, ჩვენი მეგობრის და უღალატო ადამიანის რაულ ჩილაჩავას დაბადების დღე იყო.**

მიუხედავად იმისა, რომ რაული უდიდესი სატკივრით, თავისი მეორე სამშობლოში გაჩაღებული ომის, უამრავი მეგობრის, თანამოაზრისა და ახლობლის დაუპვით გულშეძრული, მიტოვებული კერიის, უსაყვარლესი მეუღლის საფლავის დატოვებით დათრგუნვილი ხვდება თავის დაბადების დღეს, ჩვენ ბედნიერად ვგრძნობთ თავს, რომ იგი უვნებელი დაუბრუნდა თავის ოდაბადეს, თავის ხალხს.

გილოცავთ, ჩვენო უსაყვარლესო ძმაო, ჯანმრთელობას გისურვებთ, ვაჟის მშვიდობით დაბრუნებას ამ უაზრო და საზარელი ომიდან, მთელს ევროპაში დევნილებად ქცეული შენი სისხლისა და ხორცის ერთად შეკრებას, შენი სამშობლოების გაერთიანება-გამარჯვებას და შემოქმედებით წინსვლას. ჩვენს საერთო მეგობარს, არავის მსგავს პოეტს პაატა ნაცვლიშვილს შენდამი მიძღვნილ სტროფებს „მოვპარავთ“ და ისე მოგესალმებით.

*„ჩალით არის დახურული ეს ქვეყანა“ — **ჩალა ჩივა,***
*თუ ჩალიჩმა გადაგღალა, დაგასვენებს **ჩალიჩივე,***
*არ გეგონოს, ვიოლინოს ფუტლიარში **ჩელო ჩავა**...*
*ნეტა ყველა ქვეყანაში გვყავდეს თითო **ჩილაჩავა!“***

**სიყვარულითა და პატივისცემით**

**ოთარ ჭითანავა, გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ძოგულია, მამუკა ვაშაკიძე**

# მშვიდობა თქვენდა, ბატონებო — ანზორ და იოსებ!

სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის კოლექტივი ულოცავს ჩვენს კოლეგებსა და მეგობრებს, ცნობილ მკვლევარ-სპეციალისტებს ფოლადის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის დარგში, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორებს, უკეთილშობილეს პიროვნებებს,

## ანზორ გაბისიანსა და იოსებ ცინცაძეს

**შესაბამისად 90 და 94 წლის იუბილეს. ვუსურვებთ მშვიდობიან გარემოში ცხოვრებას.**

# დაზუსტება!

**„საქართველოს რესპუბლიკის“ წინა, 13 მაისის ნომერში, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ბატონი ოთარ ფაცაციას ხსოვნისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში დაიბეჭდა ფოტო, რომლის წარწერაში გაიპარა დასანანი უზუსტობა: ფოტოზე გამოსახულნი არიან ოთარ ფაცაცია და კუკური როგავა და არა თეიმურაზ ძარჩავა, როგორც ეს გაზეთში იყო მითითებული.**

**რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს და ოთარ ფაცაციას ოჯახს ამ უზუსტობისთვის.**

# ტვიფრის პირველი მედალი ვახტანგ გორგასალს ეძღვნება

**საქართველოში** **პირველი სახელოვნებო პარტნიორობის პლატფორმა „ტვიფრი“ ახალ პროექტს იწყებს. კომპანია გრაფიკულ დიზაინერ ივა ჯანეზაშვილთან ერთად საქართველოს მეფეების საკოლექციო მედლებს დაამზადებს. სერიის პირველ, საკოლექციო მედალზე „ვახტანგ გორგასალი“ იქნება გამოსახული, რომლის გამოშვება 2022 წლის ზაფხულში იგეგმება.**

ანტიკური დაძველებით შესრულებულ საკოლექციო მედალში გაერთიანებულია ლეგენდარული ქართველი მეფის სახე, სიმბოლოები, ბრწყინვალება და ცნობილი ბრძოლა სპარსელებთან. როგორც „ტვიფრიში“ ამბობენ, მედალზე დატანილ თითოეულ დეტალს სიმბოლური დატვირთვა აქვს, მასზე დატანილი წარწერები შესრულებულია შრიფტით, რომელიც თემესტიას წარწერებისა და ბოლნისის სიონის წარწერების მიხედვით შეიქმნა. მედლის ავერსზე აბჯარასხმული მეფე ვახტანგ გორგასალია გამოსახული. ვახტანგ მეფეს მარჯვენა ხელში ხმალი აქვს აღმართული ჯვრის გამომსახველობითი ფორმით, როგორც წმინდანად შერაცხილი მეფე. გორგასალს მარცხენა ხელზე შევარდენი უზის და თბილისის დაარსების ცნობილ ლეგენდას გამოსახავს. მედლის რევერსზე სპარსელებთან ბრძოლის კომპოზიციაა წარმოდგენილი.

მათი ინფორმაციით, სერიის პირველი საკოლექციო მედალი ლიეტუვის ზარაფხანაში ლიმიტირებული რაოდენობით, მხოლოდ 500 ერთეული მოიჭრება. საკოლექციო დანიშნულების მედლის წინასწარი შეკვეთების მიღება (პრეორდერი) 2022 წლის 10 მაისს დაიწყო და 24 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

საკოლექციო მედლის იკონოგრაფია მხატვარ-ილუსტრატორს, სამხატვრო აკადემიის პროფესორს მამუკა მიქელაძეს ეკუთვნის. მედალზე ისტორიკოსმა, დოქტორმა ლადო მირიანაშვილმა იმუშავა. ორიგინალური შრიფტის ავტორია დავით მაისურაძე.

გეტყვით, რომ პროექტი „ტვიფრი“ პირველი სახელოვნებო პარტნიორობის პლატფორმაა საქართველოში, რომელიც ქართული წარმოების სამახსოვრო და საკოლექციო მედლების შექმნაზე მუშაობს. მზადდება როგორც საკოლექციო, ასევე საიუბილეო თემატიკის მედლები და მთავარი იდეა არის ქართული დამწერლობის, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობების პოპულარიზაცია და მეტალში გაცოცხლება.

# ზუგდიდში 16 პროექტი ხორციელდება

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით ამ დროისთვის 16 პროექტი მიმდინარეობს. მათგან ერთი სოფელ კახათში, საგუგუჩიოს უბანში მიმდინარეობს.**

პროექტის ფარგლებში ახალი გზა სამ კილომეტრამდე მონაკვეთზე იგება და ამჯერად გზის მეორე ფენის მშენებლობის სამუშაოები ხორციელდება.



არსებულ მონაკვეთზე აქამდე გრუნტის გზა იყო და მოქალაქეებს გადაადგილების დროს პრობლემებს უქმნიდა. გზის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი გუგუჩია, ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ჩიქოვანი და მუნიციპალიტეტის მერი მამუკა წოწერია გაეცნენ. კახათში ახალი გზის სამშენებლო სამუშაოები ორ დღეში დასრულდება.

◎ კოლეგები

# საკვირაო თეზისები

**თბილისის ჭადრაკის სასახლე ნონა გაფრინდაშვილის სახელს ატარებს და ლოგიკურიცაა, მის კედლებში ეროვნული მნიშვნელობის ფორუმები რომ ტარდება. საილუსტრაციოდ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დამფუძნებელი კონფერენციის მასპინძლობა და დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის აკვნის დარწევაც გამოდგება.**

ტრადიცია გრძელდება — გუშინ ვერის ბაღში საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის (პრეზიდენტი — **მიხეილ აბაიშვილი**) საანგარიშო ყრილობის დელეგატები შეიკრიბნენ, რომლებმაც წუთიერი დუმილით მიაგეს პატივი თვალსაჩინო კოლეგის — **არმაზ სანებლიძის** ხსოვნას, ხოლო შემდეგ დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები განიხილეს.

განსაკუთრებული მსჯელობა გაიმართა სსჟა-ს წესდებაში შესატან ცვლილებათა და სტრუქტურაში ახალ სუბიექტთა მიღების თაობაზე.

საბოლოოდ ხმის უფლების მქონე დელეგატთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ასოციაციის წევრად აჭარის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის — **ნათია კობალაძის** აღიარებას, რომელიც ჩვენი ზღვისპირელი კოლეგისა და ძვირფასი მეგობრის მუხრან კობალაძის ქალიშვილი გახლავთ, თვით ორგანიზაცია კი სსჟა-ში დებულებით გათვალისწინებული ვადის — 2 წლის შემდეგ გაწევრიანდება.

შეკრებილთ ჩვეული რიხით მიმართა ბატონმა **ჯამლეტ ხუხაშვილმა,** რომელმაც ხაზი გაუსვა მისი საამაყო აღზრდილის — გიორგი შერმადინისა და თორნიკე შენგელიას ღირსეული კარიერის განმავლობაში მიღწეულ ბოლოდროინდელ წარმატებებს. გადაწყდა, რომ ისინი სსჟა-ს ეგიდით საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების უახლოესი საშინაო შეხვედრის წინ დეგვერიცხება დაფინანსება. 2021 წელს ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 185 ათას 700 ლარი. ყველასათვის ნაცნობმა მიზეზებმა, კერძოდ კი კოვიდპანდემიამ არ მოგვცა საქმიანობის სრულფასოვნად გაშლის შესაძლებლობა, თუმცა, ამის მიუხედავად, საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი მედიაპროექტების განხორციელება მაინც შევძელით.

საერთო ბიუჯეტიდან 54000 ლარი დაიხარჯა 5 წიგნის გამოცემაზე (სპორტფოტო — 2020, „დიდი კაცი“ — დავით ხახალეიშვილი, გიორგი ნიკოლაძე — პირველი ტომი, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორია, ნუგზარ სხირელი).

30000 ლარი დაიხარჯა დოკუმენტური ფილმების ციკლზე „ქართული სპორტის ლეგენდები“, 17000 ლარით მოხდა ეროვნული ჩემპიონატის მიმომხილველი ყოველკვირეული საკალათბურთო გადაცემა 5/5-ზეს მხარდაჭერა, 16000 ლარი შეადგინა „აიპსმედია კომზე“ ქართული კონტენტის მომზადების და ატვირთვის ხარჯებმა, 11,5 ათასი ლარი დაჯდა ასოციაციის წევრთა 3 ჯგუფური მივლინება ბათუმში საქართველოს საფეხბურთო ნაკრების თამაშებზე %ჯამში, 32 ჟურნალისტს აღმოეჩინა სამივლინებო მხარდაჭერა), 29 ათასი ლარით განხორციელდა ფეხბურთში კოტე მახარაძის სახელობის საერთაშორისო მედიატურნირის თანადაფინანსება. 25 ათასი ლარი შეადგინა ჯამში ბუღალტრის, გენერალური მდივნისა და ხაზინადარის ხელფასის წლიურმა ხარჯმა. 3200 ლარი გადაირიცხა საერთაშორისო სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაში საწევრო გადასახადის დასაფარავად.

ამას გარდა, ასოციაციის მიერ სპონსორული ფინანსური მხარდაჭერის სახით 2021 წელს მოზიდული იქნა 65000 ლარი. ეს თანხა შემდეგნაირად დაიხარჯა: 30000 ლარი — კოტე მახარაძის სახელობის საერთაშორისო საფეხბურთო მედიატურნირის თანადაფინანსება, 16 ათასი ლარი — ჩოგბურთში და გოლფში ორგანიზებული მედიატურნირები (კაჭრეთი ამბასადორში და კრწანისი რეზიდენსში), 19000 ლარი — თბილისის მერიის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურთან ერთად ორგანიზებულ მედიაკონფერენციაში, რომელიც ჩატარდა საგურამოში, სასტუმრო„სევსამორაში“ და მიეძღვნა თანამედროვე სპორტს, მასში გენდერულ ჩართულობას და არსებულ გამოწვევებს.

ყველა ეს მედიაპროექტი განხორციელდა ასოციაციის წევრთა უშუალო ჩართულობით, ავტორობით და მონაწილეობით.

◎ ლეგიონერი

# ჩვენი იმედი

**მართალია, გიორგი მიქაუტაძე საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ბოლომდე ჯერ ვერ გაიხსნა, მაგრამ ეს უნიჭიერესი თავდამსხმელი კვლავაც გვეიმედება, ჩვენს ოპტიმიზმს კი ახლახან დასრულებული ბელგიის ჩემპიონატიც უმაგრებს ზურგს, სადაც ქართველმა ლეგიონერმა ღირსეული წვლილი შეიტანა „სერენის“ მიერ ჟუპილერლიგაში ადგილის შენარჩუნებაში.**

დიაც, სწორედ მან გაიტანა „მოლენბეკთან“ ორრაუნდიან პლეი-აუტში (1:0, 0:0) აწ უკვე ყოფილი გუნდისათვის მხსნელი გოლი, ლიგა — 1-დან დაქვეითებულ „მეცში“ კი, რომელსაც იგი სამ პარტნიორთან ერთად მეზობელ ქვეყანაში იჯარით ჰყავდა გაშვებული, ორ სეზონში ჩატარებულ 56 შეხვედრაში გატანილი 36 ბურთითა და 4 შედეგიანი გადაცემით ბრუნდება (სხვათა შორის, წლეულს სამ საუკეთესო მოთამაშეში მოხვდა).

აქედან 14 ზუსტი დარტყმა „21 წლის ქართველ ქილერად“ მონათლულმა ჩვენმა თანამემამულემ წლეულს შეასრულა. ალბათ, ამიტომაც განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში „სერენის“ ყოფილმა ლიდერმა — მისია შესრულებულიაო.

რაც შეეხება პერსპექტივას, დიდი ალბათობით, ქართველ ლეგიონერს უკვე მეორე ფრანგულ დივიზიონშიც მოუწევს თანამშრომლობა „მეცის“ახალ სავარაუდო მწვრთნელ ჟან.-ლუი გარსიასთან, რომელიც ბელგიურ კლუბში ავარჯიშებდა.

**„გაბრაზებიდან სიხარულამდე ზოგჯერ ერთი ნაბიჯია. მადლობა ჩვენს თავდამსხმელს, რომელმაც ამ პლეი-აუტში კიდევ ერთხელ ითამაშა გადამწყვეტი როლი“,** — ასე გააცილა „სერენმა“ გიორგი მიქაუტაძე საფრანგეთში, სადაც დამდეგ სეზონში, იმედია, მეტი შანსი მიეცემა.

◎ ფეხვეზთან

**ამ დღეებში შევიტყვე, რომ ლონდონიდან დაბრუნებული ცნობილი მწერალი გიო ახვლედიანი, იგივე აკა მორჩილაძე მშობლიურ ზღაპრულ ლეჩხუმში დასახლებულა, რამაც შემოთავაზებული წერილი — მონატრება მიკარნახა.**

შეგახსენებთ, რომ იგი 1995-2009 წლებში პოპულარულ სპორტულ გაზეთ „სარბიელში“ ე. წ. მესვეტედ მუშაობდა და თითქმის ყველა სახეობის, უმეტესად კი ფეხბურთის შესახებ სხვადასხვა ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს.

დასახელებულ პერიოდში ჩვენი ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის მიერ მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილი ათასობით სტატიის წიგნად გამოცემის იდეა „სარბიელის“ რედაქტორს **ზურაბ მეძველიას** მოუვიდა აზრად. სწორედ მან შეკრიბა ძველი წერილები, გადაარჩია და ეს უზარმაზარი მასალა 10 ტომამდე დაიყვანა.

თქვენს წინაშეა ნაწყვეტი აღნიშნული ათტომეულის მეორე წიგნის ერთ-ერთი წერილიდან, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორ დაიმსხვრა ერთ დროს დაუმარცხებელი მაიკ ტაისონის უძლეველობის მითი.

**„ტოკიოდიუმი“ 63 ათასმა ქომაგმა შეავსო.**

**ბრძოლის პირველი შვიდი რაუნდი (და ეს უკვე მოულოდნელობა იყო) პოზიციურ, ტაქტიკურ ძიძგილაობაში გავიდა. მერელა გაირკვა, რომ დუგლასი სულ ცოტას უგებდა ტაისონს დათვლილი ქულების მიხედვით. მერვეს მიწურულს ტაისონმა თავისი განთქმული მარჯვენა აპერკოტით ძირს დასცა მოცილე. რეფერი ოქტავიო მეირან სანჩესი თავს დაადგა დუგლასს და თვლა დაუწყო. ბასტერი ნელა, მძიმედ წამოიმართა და საბრძოლო დგომიც დაიჭირა. სანჩესმა ნოკდაუნი აღნიშნა და ცოტამ თუ შეამჩნია, რომ ბასტერის ნოკდაუნი მთელ 12 წამს გაგრძელდა.**

**მაგრამ ბასტერი ფეხზე იდგა.**

**მეცხრე რაუნდი ბღლარძუნში ჩათავდა და დაიწყო მეათე.**

**გონგს შემოჰკრეს თუ არა, დუგლასმა საშინელი ძალით ჩასცხო „რკინის მაიკს“ თავში. ამ მარჯვენას მან სამი მიაყოლა იმავე ხელით და „ცაციათი“ ჰუკი შეუნაცვლა. ტაისონი, დიდი ჩემპიონი, შეტორტმანდა და გაშტერდა. ბასტერმა გონზე მოსვლა აღარ აცალა და ერთი აპერკოტიც ამოსცხო მარჯვენათი. ტაისონი, დიდი მოკრივე, რინგზე დაენარცხა.**

**ეს მოხდა 1990 წლის 10 თებერვალს იაპონიის დედაქალაქში.**

**ამ ჩხუბის პრომოუტერისა და ზემოქნილი კაცის დონ კინგის პროტესტმა, ნოკაუტი ადრევე იყოო, აღარაფერი შეცვალა.**

# რინგსაც ახსოვს...

**მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავდა: ჯეიმს ბასტერ დუგლასი, არსაიდან მოსული ჩვეულებრივი მოკრივე, რომელიც გმირად იქცა.**

**ბასტერი პირველი კაცი იყო, მაიკ ტაისონი რომ დაამარცხა. დაამარცხა კი არა, დასცა!**

**მან დაანგრია ლეგენდა, რომელიც 5 წელიწადს იქმნებოდა. მან წაშალა სახელი, რომლის გამოც წიგნებს წერდნენ.**

**პირველი, ვისაც ბასტერი რინგსმილმა გადაეხვია, მისი 12 წლის ვაჟია, ქუჩის ბიჭი, რომელიც აცრემლებული, შემცბარი უმზერდა მამის დასისხლიანებულ თავ-პირს.**

**რა მოგვიდა, შვილო? — ჰკითხა მამამ — ეს კრივია და ასეც უნდა იყოს. შენ უკვე მილიონერის შვილი ხარ!“**

დავძენთ, რომ ქალაქ კოლუმბუსის 29 წლის მკვიდრმა ბასტერმა, რომლის კერპიც მუჰამედ ალი იყო, ჯილდოდ 3 მილიონი მიიღო, მის ისტორიულ ბრძოლას კი თვით მაიკლ ჯექსონი და „როლინგ სთოუნზი“ უგალობდნენ ტრიბუნებიდან.

აღსანიშნავია, რომ ძლევაი საკვირველამდე 3 კვირით ადრე დუგლასს დედა გარდაეცვალა, მოსავლელად კი მოხუცი მამა და მწოლიარე ავადმყოფი ცოლი დარჩა. მას მანამდე 29 ბრძოლიდან 4 ჰქონდა წაგებული, ტიტულს კი პირველივე ჩხუბში ევანდერ ჰოლიფილდთან გამოეთხოვა, თუმცა 25 მილიონი მაინც ჩაიჯიბა.



◎ რა უთქვამს, რა მოუჩმახავს

# ერეკლეს რომ მოღალატედ გამოაცხადებ..

„ლევან ბერძენიშვილმა ერეკლე მეფე მოღალატედ გამოაცხადა. ჩვენთან სიტყვის სრული თავისუფლებაა და ყველას შეუძლია, რაც ენაზე მოადგება, ნებისმიერი სისულელე თქვას, თუმცა, ლევან ბერძენიშვილი სულელი არ არის და ზუსტად იცის, რას ამბობს და რატომ ამბობს. რასაკვირველია, მან ისიც მშვენივრად იცის, რომ ერეკლეს ლანძღვით ისტორიას აყალბებს, თუმცა, მას ისტორია არც აინტერესებს.

სინამდვილეში იგი აგრძელებს იმ იდეოლოგიურ ხაზს, რომლის ძირითადი სამიზნეც ახალგაზრდობაა და რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ეროვნული ცნობიერების წაშლას. უნდათ, რომ შექმნან ახალი ადამიანები ანუ სტერილური მანქურთები, რომელთაც არც სამშობლო ესსომებათ, არც – ისტორია, არც – ის, თუ საიდან მოდიან და არც იმაზე იფიქრებენ, საით მიდიან. ერეკლესთვის მოღალატის დაძახებას თუ მიგვაჩვევენ, მერე ახალი ყაიდის გმირებს შეგვთავაზებენ, ისეთებს, რომლებიც კაცობრიობის აქამდე არსებული ღირებულებათა სისტემაში სამარცხვინოდ მიაჩნიათ.

ლევან ბერძენიშვილი მარტო არ არის ამ საქმეში, ამ იდეოლოგიის დამკვიდრებას უსამშობლოთა მთელი კლასტერი ემსახურება და ასეთი გამოხდომები სწორედ ამ კლასტერის წევრების შეკავშირება-შედუღაბებასაც ემსახურება! ერეკლე მოღალატეა, სამშობლო კი არ არსებობს – ანუ ყველა ის ფასეულობა უნდა ამოიძირკვოს, რასაც ქართული ფენომენი ეფუძნება.

რატომ დაემართათ ასე და რამ დაუნთოთ გულებში სიძულვილის ხანძარი, ფსიქოლოგების კვლევის საგანია, მაგრამ ერეკლე მეფისთვის მოღალატის ძახილი მხოლოდ ისტორიის გაყალბება კი არ არის, არამედ ძირითადი ადამიანური ღირებულებების თავდაყირა დაყენების მცდელობის გაგრძელებას წარმოადგენს. ისეთი გარემოს და ვითარების შექმნას ისახავს მიზნად, სადაც სიკეთეს ბოროტება ერქმევა, იუდას – გმირი, ვაჟკაცობა სამარცხვინო გახდება, ხოლო – ჩახდა და ფორთხვა საამაყო! ცხადია, რომ ამ გარემოსთვის ერეკლე მიუღებელია და ხელს უშლით, ოღონდ მხოლოდ ერეკლე კი არა, მიუღებელია ყველაფერი ქართული.

ნაბიჯ-ნაბიჯ და დაჟინებით ცდილობენ, რომ ეროვნული მეხსიერების ფესვებში საწამლავი ჩაასხან! თითქოს უცნაურია, რომ მაინცდამაინც ერეკლე ამოიჩემეს – თხუთმეტი წლის ყმაწვილი შევიდა პირველ ომში და ლამის ოთხმოცი წლისაც წინა ხაზზე იბრძოდა. თუმცა, სინამდვილეში, სწორედ მაგიტომ ვერ იტანენ! ერეკლეს რომ მოღალატედ გამოაცხადებ და ყველაფერს გააუკულმართებ, მერე თავად იოლად დაიბრალებ გმირობასაც და ბრძნობასაც.

ორასი წლის ძნელბედობის შემდეგ ქართლ-კახეთს ისევ ქრისტიანი მეფე ელირსა, რომელმაც ვეება იმპერიებს შორის მოქცეული განადგურებული და გაპარტახებული ქვეყანა ფეხზე წამოაყენა! დღეს რომ საქართველო მსოფლიო რუკაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, საქართველო რომ ევროპული მსოფლმხედველობის ქვეყანაა და ევროპის

სრულუფლებიან წევრობას ვესწრაფვით, ამაშიც ერეკლე მეფეს უზარმაზარი წვლილი უძევს! სამაგიეროდ კი ჩვენ უნდა დავიჯეროთ, რომ ერეკლე მოღალატეა, სამშობლო არ არსებობს და ამ სიმართლით უნდა ვიცხოვროთ?! ვითომ შორს წავალთ ამ სიმართლით?!

ერეკლეს მოღალატედ გამოცხადება არ არის უბრალო საკითხი, სინამდვილეში დივერსიაა ეროვნულ ცნობიერებაზე და ეროვნული ნიჰილიზმის გაღვივებას ისახავს მიზნად. ამას რომ მივეჩვევით, მერე ახალი თემა წამოვა, თუმცა, ერთი სიკეთე ამ მავნეობასაც ახლავს, ვინაიდან ერთგვარი სწრაფი ტესტია, რომელიც იოლად ადგენს, ვინ რომელი კლასტერის წევრია და ვინ რისთვის ცხოვრობს ამ ქვეყნად“.

ვასილ მაღლაფერიძე

◎ „შერეკილები“

# გოდერძი მახარაძის რეკორდები

**2022 წლის 17 მაისს, სამშაბათს, ქალაქ ბოლნისში, თამაზ სტეფანიას სახელობის სტადიონზე, საქართველოს საფეხბურთო ეროვნული ლიგის XIV ტურის მატჩის (ბოლნისის „სიონი“ და გორის „დილა“) შესვენების დროს – გოდერძი მახარაძე – ქართველი ფენომენი, მძლეოსანი და ფეხბურთელი, მსოფლიოს (გინესის) მრავალგზის რეკორდსმენი, გამართავს ორ სარეკორდო ასპარეზობას. მისი მიზანია:**

**I – თავით კალათბურთის ბურთის კენწვლით 100 მეტრის გარბენი 30 წამზე ნაკლებ დროში. ეს არის მისი ახალი მსოფლიო სარეკორდო განაცხადი!**

**II – თავით ფეხბურთის ბურთის კენწვლით 200 მეტრის გარბენი 54.09 წამზე ნაკლებ დროში, ანუ კრიშნან კუმარაველუს მიერ დამყარებული (15.12.2013, ინდოეთი) მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება.**

**დამფინანსებელი:** სამთო - მომპოვებელი კომპანია „არემჯი“ (ტელ: 577 300 493);

**ორგანიზატორი :** ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური(ტელ: 599 859 605); საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი „გიორგი“ (ტელ: 593 512 747);

**ასპარეზობას უძღვება:** მსოფლიო სასპორტო-სარეკორდო ასპარეზობის დებულებით მოქმედი მსაჯთა ჯგუფი.

**გოდერძი მახარაძე** – ქართველი ფენომენი, მძლეოსანი და ფეხბურთელი, ფეხბურთის ბურთის ფლობის დიდოსტატი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი მძლეოსნურ კროსში და მსოფლიოს (გინესის) მრავალგზის რეკორდსმენი, სიმაღლე 180 სმ., წონა 80 კილოგრამი. დაიბადა (12.09.1972) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაღობილევში. დედა – ჯულიეტა, მამა – ტარიელი. ჰყავს მეუღლე – დედის მოსახელე ჯულიეტა და ორი შვილი: თამუნა და გიორგი.

დაამთავრა სოფელ მერიის საშუალო სკოლა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საზღვაო კოლეჯი. იყო ხობის „კოლხეთის“ და ნოვოროსიისკის „მინატეპის“ ფეხბურთელი. არის ღირსების ორდენის კავალერი, ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის წევრი, საუკუნის რეკორდსმენის ჯილდოს მფლობელი. მშობლიური ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის მთავარი სპეციალისტი.

**გოდერძი მახარაძეს** წლეულს, 9 სექტემბერს, 50 წელი უსრულდება. ქართველი ფენომენ - სპორტსმენი მზად არის საკუთარი იუბილეს აღსანიშნავად თავით ფეხბურთის ბურთის კენწვლით დაძლიოს დედამიწის ყველა კონტინენტის სიმბოლური შენობა-ნაგებობანი: ევროპა – ეიფელის კოშკი (1665 საფეხური); ჩრდილოეთ ამერიკა – ემპაიერსტეიტ ბილდინგი (1576 საფეხური); აზია – ბურჯდუბაი (2909 საფეხური); აფრიკა – 5-ათასწლოვანი ხეოფსის პირამიდის ქვა-ლოდიანი დაკბილული ბილიკი და დაამკვიდროს მსოფლიოში ახალი სპორტული მიმართულება, რომლის განხორციელებას ესწრაფვის უკვე 30 წელიწადია!

გოდერძის ცხოვრებასა და სასპორტო-სარეკორდო მიღწევებს ფართოდ ეხმაურებოდა და ეხმაურება მედია-პრესა, რადიო, ტელევიზია. მწერალმა გიორგი კეჭაღმაძემ უძღვნა წიგნი – „მოთხრობა მსოფლიო რეკორდსმენზე“, რომელიც ორჯერ გამოიცა (2000, 2006). ამჟამად იქმნება სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე წარსადგენი სატელევიზიო ფილმი „გინესის რეკორდსმენი“ (რეჟისორი, მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი, გოგი თორაძე). ასევე იქმნება სამენოვანი სასაჩუქრო – ქართველი ფენომენის მიღწევათა წარმომჩენი ილუსტრირებული ალბომი – მატიანე (ავტორ-შემდგენელი „გიორგი“ კავშირის შემოქმედებითი ჯგუფი).

## სანთელი



ლია კიზირია, გურამ გუნავა, სპარტაკ ქობულია, გურამ გოგიაშვილი, ზაურ თელია ოჯახებით სამძიმარს უცხადებენ ქალბატონ დარეჯან ელიაძეს დის

**მზისანა ელიაძე-ქოიავას**

გარდაცვალების გამო.

---

ფოთოლა კალანდაძე, ნონა, თემურ ბრელიიძეები, მარინა კანდელაკი ოჯახებით თანაუგრძნობენ ქალბატონ დარეჯან ელიაძეს დის

**მზისანა ელიაძე-ქოიავას**

გარდაცვალების გამო.

---

მარინა კანდელაკი თანაუგრძნობს გიორგი ქოიავას დედის

**მზისანა ელიაძე-ქოიავას**

გარდაცვალების გამო.

## სანთელი

# ჩვენი ავთანდილი!

## ავთანდილ ავალიშვილის გახსენება

ჩვენი ავთანდილი ახლანდელი ბორჯომის ხეობის ავალიშვილების სათავადოს (საავალიშვილო) ღირსეული შთამომავალი იყო. მისი რაინდული სული და ბუნება შემკობილი იყო უაღრესი კაცთმოყვარეობით, ახლობლების, მეგობრებისა და კოლეგების სიყვარულითა და მათდამი უდიდესი გულისხმიერებით. იგი ყველგან და ყოველთვის კაცობის სანიმუშო მაგალითი იყო.

ავთანდილმა 1975 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია. იგი წარმატებით საქმიანობდა ფინანსთა სამინისტროს და თბილისის ვაჭრობის სამმართველოს სისტემაში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

სამწუხაროდ, ტრაგიკულმა შემთხვევამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე და მოუშუშებელი ჭრილობა მოგვაყენა ყველას, ვინც კი იცნობდა მას.

ავთოს დღეს 70 წელი შეუსრულდებოდა. მისი მეგობრები ვამაყობთ, რომ მისი თანამედროვენი და თანამოაზრენი ვიყავით.

მეგობრები

# უკრაინაში კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი დაიღუპა

**უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების დროს კიდევ ერთი ქართველი მებრძოლი რატი შურღაია დაიღუპა. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, უკრაინაში საქართველოს საელჩო ამ ფაქტის შესახებ ინფორმირებულია და მიმდინარეობს შესაბამისი პროცედურები.**

საქართველოს კონსულმა უკრაინაში ნანა ჩაბრავამ „ქრონიკას“ განუცხადა, რომ მებრძოლი ხარკოვში შეტაკებების შედეგად დაშავდა და შემდეგ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.

**„სამწუხაროდ, ჩვენთვის გუშინ საღამოს ცნობილი გახდა საქართველოს მოქალაქის გარდაცვალების შესახებ. ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. ამჟამად ცხედარი გადასვენებულია კიევის პროზექტურაში, საქართველოს საკონსულოს მხრიდან დაწყებულია ყველა საჭირო პროცედურა, რათა დროულად მოხდეს ჩვენი მოქალაქის სამშობლოში გადმოსვენება“.**

# „მზიურის“ შემდეგ... აჩვენეთ „მართვე“ მსოფლიოს და ომი აღარ იქნება!

## ანსამბლ „მართვეს“ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, 45-წლიანი ისტორიის მქონე ანსამბლ „მართვეს“ დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი მიენიჭა. ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.**

უწყების ცნობით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ მთავრობის შესაბამის დადგენილებას ხელი 2022 წლის 27 აპრილს მოეწერა. „მართვეს“ ახალი სახელწოდებაა: სსიპ ანზორ ერქომაიშვილის სახელობის საქართველოს ხალხური სიმღერის ანსამბლი „მართვე“.

**„აღნიშნული გადაწყვეტილებით, ანსამბლმა „მართვემ“ დაიბრუნა უფლებამოსილების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა, როგორც ეს ჰქონდა თავისი არსებობის მანძილზე 2018 წლამდე, როდესაც ის სსიპ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურ ანსამბლ „რუსთავს“ სტრუქტურული ერთეულის სახით შეუერთდა.**

**„მართვეს“ ანსამბლ „რუსთავისგან“ გამოყოფა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სრულწლოვანთა ფოლკლორული ანსამბლებისათვის სახელმწიფომ მოამზადოს ახალი თაობები, რაც „მართვეს“ ანსამბლ „რუსთავის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში ყოფნით რთულად ხერხდებოდა. აღსანიშნავია, რომ „მართვე“, როგორც დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, შეძლებს თავისივე განვითარებისთვის გამოიყენოს ის საკუთარი შემოსავლები, რომლის წყაროც სიმღერის, ცეკვისა და თეატრის გაკვეთილებზე ჩაწერილი მოსწავლეების მიერ ორგანიზაციაში შეტანილი საფასურია.**

**ანსამბლები „რუსთავი“ და „მართვე“ დამოუკიდებლად ფუნქციონირებას გააგრძელებენ იმავე მისამართზე (მის.: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №103), თითოეული მათგანისათვის საჭირო სივრცეში.**

**„მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი მიშო ჯავახიშვილი იქნება. „მართვე“ კვლავ შეინარჩუნებს სამ სასწავლო-სახელოვნებო მიმართულებას: სიმღერა, ქორეოგრაფია და თეატრი. ამჟამად, სამხატვრო ხელმძღვანელი, „მართვეს“ აღსაზრდელებთან ერთად, აქტიურად მუშაობს და ემზადება ანსამბლის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის პრეზენტაციისა და წარდგენისთვის, რომელიც მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში გია ყანჩელის სახელობის ბაღში (ყოფილი არტოს ბაღი) გაიმართება.**

**ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „მართვე“ 1978 წელს, საქართველოს სახალხო არტისტმა, ლოტბარმა და კომპოზიტორმა ანზორ ერქომაიშვილმა დააფუძნა და ის არაერთ სასწავლო-სახელოვნებო დარგს აერთიანებს. მრავალწლიანი ტრადიციის მქონე ანსამბლში ასეულობით ახალგაზრდამ შეისწავლა ხალხური სიმღერა. ანსამბლი არაერთი საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებული და საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატია“.**

# მორელენბაუმის თბილისური ტურნე

**ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში, ცნობილი ბრაზილიელი მომღერლის პაულა მორელენბაუმისა და მისი კვარტეტის, ასევე, თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი გაიმართა, რომელსაც მაესტრო ვახტანგ კახიძე დირიჟორობდა. საღამოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილე კახა სიხარულიძე დაესწრო.**

პაულა მორელენბაუმი 10 წლის განმავლობაში „ბოსა ნოვას“ სტილის ლეგენდის, ანტონიო კარლოს ჯობიმის ჯგუფის „Nova Banda“ წევრი იყო, რამაც მისი წარმატებული სასიმღერო კარიერის მიმართულება განსაზღვრა. იგი კონცერტებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით მართავს, გამოშვებული აქვს რამდენიმე ალბომი სხვადასხვა ცნობილ მუსიკოსთან ერთად. 2016 წელს პაულა მორელენბაუმი სპეციალური სტუმრის სტატუსით მონაწილეობდა ივან ლინსისა და თბილისის სიმფონიური ორკესტრის ერთობლივ კონცერტში, რომელიც ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-2 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის ფარგლებში გაიმართა. ჯანსუღ კახიძის სახელობის მე-7 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და თბილისის მერიის მხარდაჭერით იმართება და მასში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი შემსრულებლები. 8 მაისს ფესტივალი თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტით გაიხსნა. სოლისტები: ეკა მამალაძე, ნეკა სებისკვერაძე, ნატო კახიძე, დათო ნოზაძე და გედევან ჯინჭარაძე. კონცერტს მაესტრო ვახტანგ კახიძე დირიჟორობდა. ფესტივალი საზეიმოდ 22 მაისს გრემის მუსიკალური ჯილდოს მრავალგზის მფლობელის, ბრაზილიელი კომპოზიტორის, მომღერლისა და პიანისტის ივან ლინსის, მისი ბენდისა და თბილისის სიმფონიური ორკესტრის კონცერტით დაიხურება. კონცერტის დირიჟორი — მაესტრო ვახტანგ კახიძე.

# ევროვიზია თუ პოლიტვიზია?!

**იტალიაში ევროვიზია 2022-ის ფინალურ კონცერტზე გამარჯვებული უკრაინა გახდა. ქვეყანა ჯგუფმა Kalush Orchestra-მ, სიმღერით Стефанія წარადგინა.**

გამარჯვებას გამოეხმაურა უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი.

**„ჩვენი სიმამაცე შთაბეჭდილებას ახდენს მსოფლიოზე, ჩვენი მუსიკა ევროპას იპყრობს უკვე მესამედ, და მე მჯერა, რომ არა საბოლოოდ, მომავალ წელს, ევროვიზიას უკრაინა უმასპინძლებს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ერთ დღეს, თავისუფალ, მშვიდობიან, აღდგენილ მარიუპოლში ვუმასპინძლოთ ევროვიზიის მონაწილეებსა და სტუმრებს. გმადლობთ ყველას, ვინც ხმა მოგვცა! დარწმუნებული ვარ, მტერთან ბრძოლაში ჩვენი გამარჯვების აკორდი შორს არ არის“,** — წერს ვოლოდიმირ ზელენსკი.

ომის დაწყების შემდეგ, რუსეთს კონკურსში მონაწილეობა აეკრძალა. საქართველოს წარმომადგენელი ჯგუფი Circus Mircus კონკურსს ნახევარფინალიდან გამოეთიშა. ჯგუფი კონკურსის მეორე ნახევარფინალში მაყურებლის წინაშე სიმღერით Lock Me In წარდგა.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ევროვიზია 2022-ზე ეროვნული ჟიურის ქულებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

**„ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე საქართველოდან ეროვნულმა ჟიურიმ ყველაზე მაღალი შეფასება — პირველი ადგილი უკრაინას მისცა, რაც 12 ქულას ნიშნავს. ამას მოწმობს ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი, რომელიც გადაეგზავნა ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ორგანიზატორებს. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ საკითხთან დაკავშირებით ევროვიზიის კონკურსის ორგანიზატორებთან დეტალებს არკვევს“,** — აღნიშნულია განცხადებაში.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 18 მაისს

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 3.0129; ევრო - 3.1286
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.6730;
100 რუბლი - 4.6982; თურქული ლირა - 0.2063;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7757;
1000 სომხური დრამი - 6.6501.

**ამინდი 16 მაისისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| აღმოსავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +11, | დღე | +20 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +7, | დღე | +17 |
| დასავლეთი საქართველო: | | | | |
| ბარი - | ღამე | +9, | დღე | +19 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე | +17 |
| თბილისი: | ღამე | +15, | დღე | +18 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge